1913

დეკემბერი, № 12. მოზრდილთათვის.

ნაკადული

საეკლესიო-საერო ჟურნალი.

წელიწადი მეცხრე. ✻ დეკემბერი, 1913 წ.

შობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

I — შობა, — სურათი 1

II — შობა ქრისტესი, — ვ. გორგაძისა 3

III — თავის ოჯახში, — მ. კარიეულისა 4

IV — ვასიკო, — დეო იმნაძისა 11

V — ცისკარი, — ი. სიხარულიძისა 22

VI — საშობაო პერანგი, — ლეგენდა (თარგ.) თამარ კარბელაშვილისა 24

VII — უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი, — მოთხრობა ე. ლ'ერვილისა, (დასასრული), თარგმ. მარიამ იაშვილისა. 33

VIII — დიდის გული, — ბ. ახოსპირელისა 48

IX — სირაჯი, — (იგავი) ალ. მირიანაშვილისა . . . 49

X — შიმშილობა დასავლეთ საქართველოში, — მაგიტასი . 51

XI — ტროადის ომი, — (გაგრძელება) ალ. მიქაბერიძისა . . 57

XII — გასართობი: რებუსი და აღსნა 63

ტფილისი, ელექ.-მბეჭდ. ა. კერესელიძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

234

შობა ქრისტესი.

Ოვლით მოსილ მთების მწვერვალს
შავი ღამის კალთა ჰფარავს;
ტბის მშვიდ ტალღას მიძინებულს
ცის ღიმილი სიზმარს ჰპარავს!..
სძინავს არეს... ლურჯ სივრცეში
ღრუბელთ შორის ცურავს მთვარე.
ცა მკერდს ინთებს ოქროს-ფერად,
მოციმციმე, მოელვარე!..
ჰა, უეცრად ცის გუმბათზე
შეკრთა ნაზი ვარსკვლავთ კრება
და ქვეყანას მიახარა
ქრისტე ღმერთის დაბადება,
იშვა ქრისტე... ჩაგრულ სოფელს
მაცხოვარი მოევლინა,
ქვეყნად შვება მოიტანა
და მშვიდობა ცათა შინა.
დღეს შობაა...—ყინულის ქვემ
მღერის წყარო მაღალ მთისა...
მღერის იგი, და მას ბანით
უპასუხებს სიპი კლდისა...

ვ. გორგაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თავის ოჯახში.

ესეც ასე, ესეც ასე... მადლობა ღმერთს მოვრჩი: ყველაფერი თავის რიგზეა. შემწვრები, ნამცხვრები, ტკბილეულობა — ყველაფერი შეალაგა წალოში, დაჭკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო, ისევ მოათვალიერა სამზარეულო — გაუკეთებელი ხომ არა დამრჩა რაო, და მიუბრუნდა ახალგაზდა მოსამსახურეს:

— აბა, ნანიკო! მიალაგე აქაურობა. იატაკი კარგა გასწმინდე; თუ ღმერთი გწამს, ჭურჭელი ასე აფორიაქებული არ დამიტოვო; ქვაბები, ტაფები სულ მოხეხე, ყველაფერი თავის რიგზე დაალაგე; მერე დაიბანე თავი, დასუფთავდი, და დაიძინე. დილაზე-კი ნუ დამაძახებინებ: ადრე ადექი, სუფრაა გასაშლელი. დავსუსტდი. ცოტას მივიძინებ, სანამ ნიკო არ მოსულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქანცული ქალბატონი გავიდა სამზარეულოდან, ფეხ-აკრეფით გაიარა სასადილო, ნელა მივიდა საწოლთან და ტან-გაუხდელად მიეგდო.

„ცოტას მოვისვენებ, მერე ავდგები, პირს დავიბან და ისევ დავწვები... დათიკოს რა ცუდად უდევს თავი ბალიშზე; რო ავდგები—გაუსწორებ; მაშოს საბანი გადახდია; თინასაც როგორ გადმოუყრია მკლავები: ყველაფერს მოვაწესრიგებ...“ ათასი რამ იფიქრა და ნელა მოსტაცა თვალი ძილმა.

ნინიკომ გააყოლა თვალი ქალბატონს: უყურა, როგორ მიიხურა კარი, მერე მოათვალიერა იქაურობა და მწარედ ამოიკვნესა ახალგაზდა გოგოს გულმა.

— დაღალული ვარ—უნდა დავიძინო.

„ნანიკო, მთელი დღე ირბინე, ათასჯერ ჩახვედი და ამოხვედი ამოდენა კიბეებზე; ასჯერ მიირბინე დუქანში, დასწმინდე ოთახები, იატაკები, ასი სარწყული წყალი შემოზიდე, ბუხარში ცეცხლი აანთე, შეშა საწყობიდან აქ ამოათრიე, ჭურჭელი დახეხე, გასწმინდე, დაიბანე, დაიძინე და ადრეც ადექი“. ყველაფერმა ერთად გაურბინა გონებაში საწყალ გოგონას.

„დედიკო, ჩემო დედიკო! რა დღეშია შენი შვილი, შენი ნანიკო. რას აკეთებენ ახლა ჩვენსას: იქნება ნიკიფორე ჩამოვიდა ბათომიდან, ყველას საჩუქარს მოუტანდა: გიგოს—წულებს, თებროს—ყელსახვევს. იქნება „მუზიკაც“ მოუტანა, ისე რომ ეხვეწებოდა. ნეტავი მეც თქვენთან ვიყო, თქვენთან ვხარობდე. რა ვქნა, რას გავჩერებულვარ და მივცემივარ საგონებელს დიდ ქალბატონივით?..“

ისევ მოათვალიერა აქაურობა.

„ვაი შენ ჩემო თავო, რამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი... ჰო; ყველას, თავთავის ღვეზელს გამოუცხობდა დედა; ჩემთვისაც-კი გადასდებდა ერთს. შარშანაც-კი შეენახა ჩემთვის. მერე ვილაც ენახა აქეთ მომავალი, და გამოეტანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. ღვეზელი, დედალი და თეთრი წინდები. ახლაც ასე ვზამ. ეს კი არა—გავიხედე: ახლა მომადგა კარზე ნიკიფორე და მითხრა:—წამოდი, გოგო, სახლში, რამდენი ხანია მოგელით და არ მიეცა საშველი შენ მოსვლას... რა?.. არ მოდიხარ? აქ გირჩევნია? სირცხვილი შენი...

— არა, არა... ბიჭო! აქ როგორ მირჩევნია... წამიყვანე დედასთან, ჩემ დედასთან... მირჩევნია იქ წყალ-ტალახში ვსდიო ბატებს, ღორებს, ძროხებს, საღამოს ჭადსა და ლობიოს მივაძღე; თქვენთან ჭირი მირჩევნია აქაურ ლხინს... წამოვალ, წამოვალ!..

დაფაცურდა ნანიკო. ის ნათლად ხედავდა მის წასაყვანად მოსულ ძმას, ნათლად ესაუბრებოდა და მისი ოცნების ნაყოფი სინამდვილედ დაესახა... ისევ გამოერკვა, შედგა და შერცხვა: ასე როგორ გამიტაცა ფიქრებმაო: მაგრამ ეს ოცნება შეუკავებელი შეიქმნა: ნამდვილ სიცოცხლის მოთხოვნილებად გადაექცა... ყველაფერი აქ ეკლად ეჩვენა: აღარ უნდოდა დარჩენა, მისწევდა გული შინისკენ.

— ოჰ, და მართლაც რა იქნება, რომ წავიდე? ქალბატონს უთხრა, გავაგებინო? შემომიყვირებს, ვინ იცის -- შეიძლება კიდეც გამლახოს,—სულელს, ბრიყვს, უმადურს, მშიერის შვილს,—ყველაფერს ერთად მომაყრის სახეში. თითქოს არ ვიცოდე იმის ხასიათი, არ გამომეცადოს. წავალ, უთუოდ წავალ: სულაც არ ვკითხავ. ბატონი?.. ის-კი,—მართალია—მაგრამ. იგი კაცია, სტუმარია სახლში: რა იცის—რა ცეცხლში ვარ აქ დღითი-დღე. რაღას ვაყოვნი...

იცოცხლე, ხვალ დილით მე დედა გავახარო:.. ჯამაგირი? ჯანდაბას მაგათი თავი. როგორც უნდათ—ისე გამისწორდნენ. ნიკიფორემ იცის, იმას გამოვგზავნი; მე-კი...

საჩქაროდ ჩაიცვა, რაც ხელში მოხვდა, კუთხეში შენახული გროშები გამოხსნა, დათვალა—თუ მეყოფა გზის ფულადო; საჩქაროდ გამოვარდა გარეთ, ნელა ჩავიდა კიბეებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაყაფის კარებთან ჩათვლემილ მეეზოვეს გვერდზე ფეხ-ჯრეფით გაუარა, გადახტა ქუჩაში, დაფეთებულივით ერთიც მოიხედა,—ხომ არავინ მომდევსო, და შველივით გაჰქანდა რკინის გზის სადგურისკენ.

II

ნიკო, ოჯახის უფროსი, საშუალო ხარისხის მოხელე, ღამე გვიან დაბრუნდა სახლში. როცა აივანზე ამოვიდა იმის, ყურადღება გაჩაღებულმა სამზარეულომ მიიქცია: სიჩქარის გამო ჩაუქრობელი დარჩა ლამპარი ნანიკოს.

— ჩემ დედაკაცს კიდევ არ გაუთავებია აქ ფუსფუსი; პირველად მასთან შევალ.

შეაღო სამზარეულო—იქ არავინ იყო, გამობრუნდა, სასტუმრო გაიარა, საწოლ ოთახში შევიდა.

— სძინავთ ყველას, რა გაუფრთხილებლობაა — ასე ამოწეულ ლამპრების დატოვება... კარები ღიაა.

ყველაფერი მოათვალიერა... გოგო არა სჩანს. ისევ გავიდა სამზარეულოში... ისევ სიჩუმეა...

— ნანიკო. ნანიკო!—გაეხმაურა, ყურიც დაუგდო: ჩამიჩუმი არ ისმის.

— სად წავიდა ეს გოგო?

მივიდა ცოლთან, ნელა გააღვიძა.

— ნატო, ნატო, გაიღვიძე! გოგო სად არის? ლამპრები როგორ დაგიტოვებია: ცეცხლის გაჩენის არ გეშინია?

— რაა? რაო?—ვერ გამოერკვა ქალი.

— სამზარეულო და ოთახები ღიაა; ლამპრები დაჩაღებული; შენ გაუხდელად გძინავს. გოგო აღარა ჩანს. ასე უნდა თადარიგი?

— გოგო აღარა ჩანს?—გამოერკვა, წამოჯდა ნატო: — სად წავიდოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, სად წავიდოდა; დალოცვილო—ლამე—ლამე ცეცხლს უკიდებ; დასვენება თუ უნდა სხვის შვილს— არა გგონია.

— შინ ხომ არ გაიპარა ის ცულლუტი ისა,—სთქვა ნატომ,—ამ ბოლო დროს სულ იმათი ამბვით გამომიჭედა ყურები; სანამ არ დაუყვირე-კი არ დაჩუმდა.

გაჯავრებული ისევ გაბრუნდა სამზარეულოში. ნატო ბარბაცით წამოდგა და გაჰყვა ქმარს უკან.

III

— ნანიკო, ნანიკო, გაიღვიძე! ხომ გაცივდები, შე საწყალო, ასე რომ მიგდებულხარ.

შეეხო ხელით ნიკო და გამოაღვიძა მესამე კლასის ბუფეტში, ერთ სკამის თავში მოკუნტული ნანიკო. თავი მუხლებში ჩაეყო და ღრმად ჩასძინებოდა.

ნანიკო ხელის შეხებაზე დაფრთხა, წამოხტა ცახცახით, განივრად გაღებული თვალები უაზროდ მიაშტერა ბატონს. როცა აზრები შემოიკრიბა, მოისაზრა სად იყო, რა ჩაიდინა, გაახსენდა, რომ სახლში მიდიოდა. მესამე საათზე გადიოდა მატარებელი. ადრე მოუხდა მოსვლა. მიჯდა კუთხეში და მატარებლის მოლოდინში დაუწყო ხალხს თვალიერება. მოლილ-მოქანცულს ჩაეძინა. „მატარებელი უთუოდ წასულა, თორემ ის ურიცხვი ხალხი, მუმლივით რომ ირეოდა, რაღა იქნა? ბატონმა დამიჭირა, ისევ წამიყვანს ქალბატონთან, და რა მომელის?“—გაიფიქრა მან და უსაზღვრო შიში გამოეხატა თვალებში. ნიკო ყველაფერს მიუხვდა, თვალწინ გადაეშალა ნანიკოს გულის წუხილი. გაუღიმა გოგოს და მიიწია მისკენ.

— ნუ გეშინიან, გოგო!.. მე ხომ არ გიჯავრდები? თუ წასვლა გინდოდა, რატომ არ მითხარი? მე ვერ გაგგზავნიდი? გაპარვა რა საკადრისია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანიკოს შერცხვა, ტირილი მოერია.

— თქვენ ვერა, ვერ გაგიბედეთ. ქალ... ქალ... ქალბატონი ყოველთვის მცემდა, როცა ვეტყოდი, ბა... ბა... ბატონო! მე... მეც... მეც გული მაქ... მეც დედა მყავს, დაძმა, ნათესავები... მეც მაქ სურვილი... მომენატრა დედა... ორი წელიწადია არ მინახავს, თვალი არ მომიკრავს... მინდოდა დედის ნახვა... ჩემი დედის .. დღეს... დღეს ისე ისე ამი... ამიტაცა სურ... სურ... სურვილმა...—სლოკინებდა გულ-დამწვარი გოგო.

ნიკოს გული შეუტოკდა... თვალებზე მომდგარი ცრემლი საჩქაროდ მოიწმინდა. ახლა უფრო ფართოდ გადაეშალა თვალ-წინ იქ შორს, მრავალ მთებს იქით მიტოვებული ქვეყანა და იქ მცხოვრებნი, რომლებისთვისაც ექვსი წელიწადია თვალი არ გადაუვლია... „მეც ხომ მყავს მოხუცი მშობლები, მეც ხომ მყავს დედა, დედა მოყვარული, დღე-და-ღამ ჩემზე მლოცველი... რატომ მე-კი არ მოვიგონე ჩემი მშობლები, ჩემი ქვეყანა, ჩემი აღმზდელი სოფელი, მეზობლები? არ წა. ვიყვანე ეს სხვისი შვილი თავის მშობლებთან, არც იმისი და არც ჩემი მშობლები არ გავახარე ბედნიერ დღეს: რას ვაკეთებ აქ, რას ვეხეტები? როგორ მჯობნის პატარა გოგო. მეც ხომ მაგასავით გლეხის შვილი ვარ, წვითა და დაგვით გამოზრდილი?“

ერთ წუთს შეჩერდა, შემდეგ, თითქოს დამნაშავეთ, ნელა წარმოსთქვა:

— ნანიკო, შენ ეს კარგად გიფიქრია. ამ ფიქრმა მეც მომაგონა ჩემი მოვალეობა და მეც მინდა ვნახო ჩემი მშობლები... წამოდი ახლა სახლში. დღეს საღამოს უკვე ჩვენ სოფელში ვიქნებით; ჩემ ოჯახსაც წამოვიყვან დაერთად წავიდეთ.

IV

მოსულაძეების ჩაბნელებული და მოწყენილი უბანი უე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრად გაჩაღდა და ახმაურდა; მეზობელი მეზობელს გამოეხმაურა და სასიამოვნო ამბავი გაუზიარა:

— ნიკოი ჩამოსულა, კაცო, ცოლ-შვილით.

— თედორეს შვილი?

— ჰო, ჰო...

— მადლობა ღმერთს!

— ერთხელ მაინც გაახსენდა სახლი და ოჯახი!

— საწყალ გულქანას კაი შობა არ გათენებია?— კაი ახალ-წელიწადი არ მოუბრუნდა.

ასე საუბრობდნენ ნიკოს მეზობლები და ნელ-ნელა მიდიოდნენ ახალ-მოსულ პატივსაცემ კაცის სანახავად.

— ცოტა ადრე რად არ მომასწარი, შვილო! ცოტა ადრე დაენახა უბედურ ჩემ თვალებს შენი შვილები, შენი დიდება, შენი ჩინები. ღმერთს სულ იმას ვეხვეწებოდა: ღმერთო, დამანახვე ჩემი ნიკოს წარმატება და მერე ამომხადე სული მეთქი; მარა ე ოხერი სული ქე მიდგია და თვალებით რო ველარ ვხედავ შენ დიდკაცობას, შენს გვრიტებივით ცოლ-შვილს? უსაყვედურებდა დედა შვილს; უსინათლო აფათურებდა ხელებს, ხან ავლებდა ბავშვებს, ხან შვილს გულმკერდზე და მხრებზე.

— ხომ მართალია, ხომ არ მატყუებენ, ხომ მართლა შენ ხარ, შვილო?

ხან წვერებზე ეხება, ბავშვივით ეკვრის. მისი უსინათლო თვალები რაღაც ნეტარ-ღიმილით გამოიყურება.

ნიკო ამ დროს სტიროდა მწარედ, და ეს ცრემლები შეედრებოდა ნანიკოს ცრემლებს, რომელიც სოფელში მოსვლისთანავე გაისტუმრა დედასთან და ახლა ისიც ხარობდა თავის ოჯახში.

მ. გარიყული.



ვასიკო.

ვინობისთვის შუა რიცხვები იყო. გარიჟრაჟდა. ვარსკვლავები ის იყო ღლის სინათლემ დაჰფარა. მზე ჯერ კიდევ არ ჩანდა, რომ უცებ საშინლად იელვა და თან გულის შემზარავი ქუხილი მოისმა. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სულიერი გაინაბა და გულის კანკალით ელოდა: აი საცაა მეხი გავარდება და დედამიწისაგან გაგვაქრობს ან მე, ან სხვასაო!.. მეხის გავარდნას მოჰყვა ხშირი, კოკისპირული წვიმა...

— დამიცევი წმინდაო გიორგი,—პირჯვრის წერით წარმოსთქვა ფედოსიმ, როცა სახლში შემოვიდა,—კი გამიგონია—მღვდლის უწინ ცა შეიმოსებაო, მაგრამ თურმე მართალი ყოფილა—ამ წუთში ცა ვარსკვლავებით იყო გადაკაშკაშებული და ახლა ქვეყანა იქცევა მგონია.

— მე წუხელის შევნიშნე, ყანიდან რომ მოვდიოდი: მთვარის ნამგალი ისე პირდაპირ იდგა ცაზე, რომ კარგი აღარაფერი იქნებოდა, ვიცოდი,—გამოვლაპარაკა ცოლს პორფილე, რომელიც ახლად ამდგარიყო და ახალოხის ამარა გარეგ მიდიოდა.

ოთახში, ლოგინზე, თხელ ბამბის საბანში გახვეულს ტკბილად ეძინა პატარა ვასიკოს, რომელიც წინა ღამით გვიან დაბრუნდა თევზაობიდან,—დედ-მამის ლაპარაკზე თვალები გაახილა და, რა შეხედა გათენებულიყო, ლოგინზე წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უიმე, შვილო, შენ ჯერ კიდევ არ ამდგარხარ? შენმა ამხანაგებმა რა ხანია გაიარეს,—უთხრა დედამ ვასიკოს.

— მერე მე არ დამიძახეს?

— რა ვიცი, შვილო, მე არ გამიგონია; ძროხას რომ ვწველიდი, ისაკის და ლუკაის ბიჭებს მოვკარი თვალი, რომ მირბოდნენ; ალბად წვიმის შეეშინდათ და დაძახება აღარ გაახსენდათ,—სთქვა ფედოსიმ. შემდეგ წამოუსვა იქვე მდგარ საწყლე დოქს ხელი და აჩქარებით გარედ გავიდა.

ვასიკო სწრაფად წამოხტა და ჩაცმას შეუდგა, მაგრამ, როცა ხელში ძირ-გავარდნილი წულები აიღო, ცოტათი ჩაფიქრდა და ლამაზი წარბები მოღუშა; მართლაც ვერაფერი სასიამოვნო იყო ამ წვიმაში ძირ-გავარდნილი წულების ჩაცმა, რაც ჩაუცმელობას უდრიდა. ჩაცმით-კი მაინც ჩაიცვა ვასომ წულები და ახლა იქვე კედელზე ჩამოკიდულ ხალათისაკენ წაიწია; მაგრამ ისიც თხელი და ცივი ეჩვენა.

გარედ-კი, თითქოს ვასოს გამოსაჯავრებლად, კოკის პირულად ასხამდა; დრო-გამოშვებით, როცა წვიმა შედგებოდა, საზარელი ჭექა-ქუხილი მოისმოდა.

ვასო მიდგა ფანჯარასთან და ეზოში ცქერა დაიწყო. ეზოში აქა-იქ გამალებული მირბოდნენ წვიმის პატარა ნაკადულები და სამზარეულო სახლის გვერდით მიმავალ პატარა ღელეს უერთდებოდნენ; ღელე-კი ტალახის ფრად გადაქცეულიყო და ყრუდ და ნელა მისრიალებდა. სახლის გვერდით საკვალეში პატარა ხბო გაჩერებულიყო და ნაღვლიანი თვალებით წვიმის წვეთებს მისჩერებოდა; ზურგზე რომ აწვიმდა—თითქოს ვერ ამჩნევდა და ყურსაც არ იბერტყავდა.—ქათმებს და წიწილებს-კი უფრო მეტი ჭკუა გამოეჩინათ—ხულის *) ქვეშ შეყუდრებულიყვნენ და მოფუღულნი წვიმის ნაკადულებს ნაღვლიანად გასცქეროდნენ. დიდი ბატი და იხვებიც-კი

*) ბეღელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალიის*) ქვეშ შეფარებულიყვნენ. მხოლოდ ნაღვლიანად-კარ შესცქეროდნენ წვიმას: დიდ ბატს, პირიქით, საბრძოლველად მოეღერებინა თავისი გრძელი ყელი და მედიდურად ხან ერთი თვალით გადახედავდა ნიაღვარს, ხან მეორეთი. პატარა ტასიკოც, ვასოს უმცროსი და, სამზარეულოს სახლის კარზე მიმდგარიყო და ისიც წვიმას შეჰყურებდა.

— ჰო, ჰო! როგორ დაიღუპა, ვისაც ახლა ყურძენი მოუკრეფავი აქვს, ან ყანა მოუტეხელი,—ხმა-მაღლა, თავისთვის, წარმოსთქვა ვასომ, როცა მაღლა ხეებზე აიხედა და წვიმისაგან დაბერილ ყურძნებს თვალი მოავლო.

ჯერ თერთმეტი წლის ძლივს იყო ვასო და გამოცდილებით უკვე იცოდა—რა სჭიროდა გლეხ-კაცს კეთილდღეობისათვის და რა იყო მისთვის მავნებელი. სწორედ საკვირველება რამ იყო ეს ცქრიალა ცოცხალი ბიჭი; გარდა იმისა, რომ სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა, არც ოჯახს აკლდა მისი ხელი: ყანას თოხნიდა, შეშას აპობდა, წისქვილზე მჭადი მიჰქონდა, სათამაშოებს უკეთებდა პატარა ტასიკოს,—ყველაფერს ოცი წლის ჭაბუკივით მარდად აკეთებდა; ღამ-ღამობით კი ხან ტყიდან შეშის მოტანაში შველოდა მამას, ხან თევზაობაში ათენებდა.

ოთახში დედა შემოვიდა და თბილი კვერის ნატეხი დაყველი მოუტანა ვასოს, თან აჩქარებდა, მალე წასულიყო სკოლაში, რომ არ დაგვიანებოდა.

— რაით წევიდე, ხალათი რომ არ მაქ,—საყვედურით უთხრა ვასომ დედას.

— აგერ ღვთით მამაშენი შეშას გაჰყიდის და საშობაოდ გამოგაწყობ,—იმედიანად მიუგო დედამ ვასოს და ბეჭებზე ორად გახეული ხალათი, რომლიდანაც ვასოს ტიტველტანი უჩანდა, ნემსით მიუბნია.

---

*) სასიმინდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასომ აღარაფერი უპასუხა, თაროდან წიგნები ჩამოიღო, კალთას ქვეშ ამოიდო, არ დამისველდესო, თავზე ყაბალახი მოიხვია და საჩქაროდ სკოლისაკენ გასწია...

ვასო! აქეთობას ერთი ორ-მანეთიანი კელაპტარი წამოიღე—მიაძახა მიმავალ ვასოს პორფილემ, რომელიც ნალის ქვეშ ხარებს აბამდა და თან ორი თითო-მანეთიანი გაუწოდა ვასოს.

— ჩვენი ნათლულის დედამთილი საწყალი ანუსი მომკვდარა და, თუ არ წევიღეთ, სირცხვილია. განუმარტა პორფილემ ფედოსის, რომელიც კელაპტრის ხსენებაზე გაოცებული კარზე მოდგა.

— კინალამ მოვკვდი შიშით: ვინმე შინაური მოკვდა მეგონა, კარგია, ძალიან კარგია,—კმაყოფილებით სთქვა ფედოსიმ და სახლში შებრუნდა.

II

პორფილე, ვასოს მამა ერთ შეგნებულ ⁄ შეძლებულ გლეხად ითვლებოდა სოფელში და არც მაინცა-და-მაინც ღარიბი იყო, მაგრამ რა აუთავდებოდა იმდენ ხარჯს, რამდენიც მას აწვა კისერზე: სამი ქალიშვილი სარჩენი, ორი ვაჟი, ათასი გადასახადი! „კლასის“ ფული, მასწავლებლის, მღვდლის, ფოსტის და კიდევ ათასი რაღაცაები; ამასთან—მტერ-მოყვარე. ვინმე მოკვდებოდა შორეული ნათესავი, და მანათიან კელაპტარს როგორ აკადრებდა პორფილე; თავმოყვარე იყო საშინელი. „უკვდავი არა კაცი არაა და ღმერთი რომ გაწყრეს, შენ თუ არ მიუტანე, არც შენ მოგიტანს ვინმეო,—იტყოდა ხშირად პორფილე. ვინმე ქალს გაათხოვებდნენ ორმანეთს შეეწეოდა პორფილე:—მასაც ჰყავდა სამი ქალიშვილი, და, თუ თვითონ არ შეეწეოდა, არც მას შეეწეოდნენ გათხოვების დროს. ყველა ამ ხარჯების დასაფარავად რამდენს შრომობდა პორფილე. ყანის მუშაობას რომ მორჩებოდა, შეშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრას მიჰყოფდა ხელს. დადიოდნენ ის და ვასო ტყეში ღამ-ღამობით და მოჰქონდათ ურმით დღით მოჭრილი შეშა.

დღიურ მუშადაც ხშირად მდგარა პორფილე, ხან-და-ხან ქალიშვილებსაც-კი აგზავნიდა ზაფხულობით ჩაქვში „ჩაიზე" სამუშაოდ, მაგრამ ამას ისე ჩუმად, რომ მეზობლებს არ გააგოთ, არ დაეძრახათ.

ფედოსიც არ ჩამოუვარდებოდა ქმარს მუშაობაში—მთელ სოფელში სამაგალითო დიასახლისად იყო მიჩნეული.

III

მთლად გაწუწული მივიდა ვასო სკოლაში, რომელიც კარგა მანძილზე იყო მის სახლზე დაშორებული. სწავლა ჯერ არ დაწყებულიყო, მასწავლებელი არ მოსულიყო. ბავშვები ზოგნი ბუხართან თბებოდნენ, ზოგნი უკვე თავის ადგილას ისხდნენ და გულმოდგინედ კითხულობდნენ; ზოგნი-კი სკამებზე ყირამალა გადადიოდნენ.—იყო ერთი ჟივილ-ხივილი. დაინახეს გაწუწული ვასო თუ არა, ბუხართან მჯდომმა ბავშვებმა გზა დაუცალეს. ვასო მიჯდა ბუხართან, იშრობდა ტანსაცმელს და თან ცახცახებდა. ცეცხლის სიმცხუნვარის გამო გამთბარ ტანსაცმელს ორთქლი ასდიოდა; ბავშვები ხედავდნენ ამას, მაგრამ სრულებით არ უკვირდათ ეს გარემოება: — ისინი კარგა ხანია შეჩვეულნი იყვნენ ასეთ მოვლენებს: თვითეული მათგანი ხშირად ყოფილა ამ მდგომარეობაში.

ოთახში მასწავლებელი შემოვიდა — დაბალი, ფერ-მკრთალი, ჭალარა-შერეული კაცი, ძველი ყავის-ფერი ქუდით და გაფხეკილი, შავი პიჯაკით,; ბავშვებს თვალი მოავლო და ვასოს დააცქერდა:

— რა დაგემართა, კიდევ ვერ შეგიკერეს? ტანსაცმელს არ ჩააცმევენ ბავშვს, მოკვდება და ქვეყანას დააძღებენ,— უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღარიბი ვარ,—სთქვა ვასომ.

მასწავლებელმა ოთახმი სიარული დაიწყო. მოაგონდა წინა დღით ყრილობაზე ვიღაცა სოფლელის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „რა გიჭირთ—ჩვენი ნაოფლარით მეფურად ცხოვრობთო;“ ეს სიტყვები მათ, სოფლის მასწავლებლებს, შეეხებოდა. რა საშინლად დასწყვიტა გული ამ სიტყვებმა მასწავლებელს: ის თავის დღეში არ მოელოდა, რომ ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ მას სოფლელები, ის სოფლელები, რომელთა სამსახურში დაბერდა კაცი, მთელი თავისი სიყმაწვილე ამათ ბავშვების სწავლას შეალია და ვინ მოსთვლის რამდენი ამათგანი კაცად გამოიყვანა.—ნუ თუ მეფურად ცხოვრება ის არის, რომ ჯერ შიმშილით არ მომკვდარვარ?—მწუხარებით გაიფიქრა მან. ბავშვებმა თავ-თავიანთი ადგილი დაიჭირეს და გაკვირვებულნი მასწავლებელს შესცქეროდნენ. ვერ მიმხვდარიყვნენ მის ასეთ უკმაყოფილების მიზეზს. მუდამ კეთილი, ტკბილად მოუბარი მასწავლებელი რა ღაცას გაებოროტებინა და მისი ჩვეულებრივად კეთილი თვალები სასტიკად გამოიცქირებოდნენ. გაკვეთილმაც ცუდად ჩაიარა: იცოდა რამე, თუ არა ბავშვმა, მასწავლებელი მაინც შენიშვნას აძლევდა და უჯავრდებოდა.

ბუნებაც თითქოს გამწყრალიაო, ხან ჭექა-ქუხილით გადაუვლიდა სკოლას თავზე, ხან სეტყვასავით წვიმას აყრიდა ფანჯრის მინებს და ერთ წუთს მთელ ოთახს ჩამოაბნელებდა...

—ბავშვებო! შეშის ფული რატომ არ მოგაქვთ, ხომ ხედავთ ზამთარი დაიწყო?—უთხრა მასწავლებელმა ბავშვებს, გაკვეთილის გათავების შემდეგ.

ბავშვებმა არაფერი უპასუხეს, მხოლოდ ერთმა—ორმა ჩაილაპარაკა „სადა მაქვსო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

მეორე დღეს, თუმც არ წვიმდა, მაგრამ სიცივე-კი საგრძნობელი იყო, ზამთარი ადრე დგებოდა, და მისი სუსხი ძვალ-რბილში უვლიდა ადამიანს.

ვასო სკოლაში აღარ წასულა; მთელი დღე ვაჭრობაში იყო, შეშის ფულს აგროვებდა; რაღაც-რაღაცეებს ჰყიდდა. ასე ვაჭრობაში დაულამდა კიდეც ვასოს ქალაქში, მაგრამ სულ ორიოდე გროში ძლივს აიღო; დღეს იმის ვაჭრობას ბარაქა არ ჰქონდა. ვასიკო უკვე სახლში აპირებდა წასვლას, რადგან შიოდა კიდეც: დილას აქეთ პირში არაფერი ჩაედვა, მაგრამ ამხანაგები აუხირდნენ—სადგურზე წავიდეთ და იქ ბევრს გავყიდითო; ვასოც გაჰყვა იმათ.

სადგურზე ხალხი მართლაც ბლომად იყო, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ხილის გამყიდავი ბავშვები იყვნენ, თითქოს განგებ არავინ მოდიოდა: ყველა სადგურის წინ ჩამოკიდებულ ფარანთან ტრიალებდა, იმ ბნელი კუთხისკენ კი, სადაც ხილის გამყიდველი ბავშვები იდგნენ, თითო ოროლა ქალი და კაცი თუ გაივლიდა, რომელთაც ხილი სულ არ აინტერესებდათ; ბავშვებს კი სადგურის წინ გამოსვლა აკრძალული ჰქონდათ.

მატარებელი თითქოს იგვიანებდა. ვასო დაიღალა ლოდინით და ის იყო სახლში წასვლას აპირებდა, რომ უცებ შორს მატარებლის სამი აბრიალებული თვალი დაინახა. სადგურზე მყოფი ხალხიც შეიძრა, დაფაცურდა, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივ სანახაობას მოელოდა. ვასოს ამხანაგებიც უცებ სადღაც გაქრნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ვასომ იფიქრა—ალბად ისინიც ხალხში გაერევნენო და თვითონაც იქით გაექანა. ხალხი ბუზებსავით ირეოდა და ყველა-კი მატარებლისაკენ მიიწევდა: ხილისათვის ვის ეცალა... რაკი დარწმუნდა ვასო—ამათგან ხეირი არ გამოვაო, იმანაც მატარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს მიაშურა და ის იყო თავისი ყურძნიანი კალათა მესამე კლასის ვაგონში მდგარ ახალგაზდა ქალისათვის უნდოდა მიეწოდებინა, რომ უცებ უკანიდან ვილაცა სწვდა ყურებში და წიწილასავით ზევით ააპროწიალა.

ვასომ უცებ ვერაფერი მოისაზრა—თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს თავხედი, ან რას ერჩოდა, ხმა-კი არავისი ესმოდა, მხოლოდ როცა ამ ყოფით, ყურების წევით მესამე კლასის ბუფეტში გაიყვანეს და თავის წინ ჟანდარმი დაინახა, შიხვდა, რომ აკრძალულ ადგილას ვაჭრობისათვის დაისაჯა. ყველაფერი ეს ისე ჩუმად, ისე უხმოდ მოხდა, რომ სადგურზე მოსეირნე ხალხსაც, გარდა ერთი-ორისა, არ დაუნახავს. ვასოს საბედნიეროდ არც ერთ მის ამხანაგსაც არ გაუგია ეს ამბავი, და აბა ვასო როგორ გაამხელდა; სახლში დედ-მამისათვისაც-კი არ უთქვამს, სცხვენოდა—ეს როგორ მომივიდაო. მისვლისათანავე ლოგინში ჩაწვა—ყურების სიწითლე არავინ შემამჩნიოსო.

ასე წვალებითა და ვაი-ვაგლახით ვინ იცის რამდენი ხილი გაყიდა ვასომ, რამდენი ფული აიღო, მაგრამ მაინც თხელი ხალათით და ძირ-გავარდნილი წუღით დადიოდა სკოლაში ამ სუსხიან ზამთარში. როგორც-კი იფიქრებდა ვასო—ახლა უთუოდ მიყიდიან ან ხალათს, ან წუღასაო, იმ წამსვე რაღაცა გამოეკვროდა, ხან შეშის ჯარიმის ფული, ხან საავადმყოფოს, ხან რაღაცა ძველი ვალი გამოტყვრებოდა.

დედა იმით ანუგეშებდა ვასოს, რომ სულ ერთია შობამდი მაინც დაგიძველდება და უმჯობესია შობა-კალანდას, სხვა ბავშვებსავით, ახალი გექნესო. ერთ ორჯერ ვასო თავის მდიდარ ბიძასთან, დედის ძმასთანაც-კი მივიდა კალმახებით დატვირთული, იქნებ ხალათის ფული მაჩუქოსო, მაგრამ ამაოდ—ბიძა ყოველთვის დიდი მადლობით გამოისტუმრებდა ხოლმე.

დადარდიანდა პატარა ვასო, გახდა, სახე ჩამოუგრძელდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები გაუფართოვდა, წინანდებურად ველარ მაცადინებდა. ცეცხლთან ჯდომა შეუყვარდა, მუხლის თავები ცეცხლისაგან სულ დაწითლებული ჰქონდა.

— ბიჭო, ცეცხლმა თუ არ გითხრა ადექი, ისე არ ადგები?—ეტყოდა ხშირად პორფილე.

— რა ვქნა, მცივა და!..— მიუგებდა ვასო.

V

ქრისტეშობისთვის პირველი რიკხვები დაიწყო. მოახლოვდა დღესასწაულებიც. დადგა ბავშვებისათვის სანატრელი დღეები. ახალ-ახალ ტანსაცმელის მოლოდინში ბავშვებს უბრწყინავდათ თვალები, ბუნებაც თითქოს ბავშვების გასახარებლად სადღესასწაულოდ თეთრად მოირთო: ხეს, ტყეს, მინდორს, ველს—ყველაფერს თეთრი სამოსი ჩაეცვა; წარმოიდგინეთ— გამურულ საღორესაც-კი ბამბასავით თეთრი სახურავი ეხურა.

ფედოსიც მოემზადა ქალაქში წასასვლელად, რაღაც-რაღაცეების საყიდლად. შემოეხვივნენ ბავშვები დედას და ყველა თავისთვის რაღაცას აბარებდა; მხოლოდ ვასო არ ერია ამათ რიცხვში: ის იჯდა ცეცხლის პირად და ზარმაცად იზმორებოდა.

— შენ არაფერს მაბარებ, შვილო?—შეეკითხა დედა.

ვასომ უარის ნიშნად თავი გაიქნია და თვალებში ცრემლი მოერია.

— კი, შენ გენაცვალოს დედა—ოღონდ კარგად ისწავლე და ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, შვილო: იმისთანა ხალათს და შარვალს შეგიკერავ საშობაოდ, რომ...

ვასომ ამ სიტყვებზე ერთი-კი გაიცინა, მაგრამ დაბარებით მაინც არაფერი დაუბარებია დედისათვის...

როცა ფედოსი ქალაქიდან დაბრუნდა, ვასო მძიმე ავადმყოფი დაუხვდა. სიცხე მისცემოდა და ახველებდა. იმ წამსვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხავთან აფრინეს კაცი, რომელმაც დიდი იმედი მისცა,— უთუოდ მორჩებაო, მხოლოდ საეტლო გქონიათ გადასახდელი და, რომ მორჩება, ცხვარი უნდა დაუკლათო.

— კი ვატყობდი, კაი ამბავი რომ არ იყო ჩემ თავზე, ცეცხლს რომ არ შორდებოდა,—ამბობდა ფედოსი და ლოყებს იკაწრავდა.—დედის გულში უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ვასო აღარ მორჩებოდა.

— რა დაგემართა, დედაკაცო: ვინც ავად ხდება—ყველა-კი არა კვდება,—ამშვიდებდა პორფილე.

ერთი კვირის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა ვასო. ვინ მოსთვლის—ამ ხნის განმავლობაში რამდენი საშუალება არ იხმარეს პორფილემ და ფედოსიმ ვასოს გამოსაბრუნებლად; კიდევ სამჯერ აფრინეს მკითხავთან კაცი, ვასოს სიგრძე სანთელიც-კი ჩამოქნეს, ღვთის-მშობლობაზე წასვლაც-კი შეჰპირდნენ ხატს, ბოლოს ექიმიც-კი მოიყვანეს, თუმცა პორფილე ამის წინააღმდეგი იყო.

— პირველ ბიჭსაც-კი მოუყვანე აქიმი, მისი წონა ფულები წაიღო, მაგრამ არაფერი მეშველა—ბიჭი მაინც მომიკვდაო,—ეუბნებოდა პორფილე მათ, ვინც აქიმის მოყვანას ურჩევდა. ბოლოს მოიყვანა პორფილემ აქიმი—ძუნწობაში არავინ ჩამომართვასო...

ვასოს მაინც არაფერი ეშველა: სწორედ შობის წინა დღეს გარდაიცვალა აუწერელი იყო დედ მამის მწუხარება, როცა ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ვასო შობას წინა ოთახში ტახტზე დაასვენეს; იმისი სანთელივით გაყვითლებული სახე, მოგრძო ლამაზი ცხვირი, ცოტა გაღებული ტუჩები ამ სოფელს აღარ ეკუთვნოდა და არ ესმოდა სამძიმრის მოსახდელად მოსულ ქალების სიტყვები.

მეორე დღესვე ქალაქიდან მხვატარი დაიბარეს სურათის გადასაღებად მხვატარმა ხუთი მანეთი მოითხოვა. ამ ფულების გადახდა ფედოსიმ იკისრა:—ამ თმებს გავყიდი, შვილო, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმით ვიყიდი შენ სურათსაო,—ცრემლების ღვრით ამბობდა საბრალო დედა და თმებს იგლეჯდა:—შენს მერე, შვილო, რათ მინდა რამე, რათ მინდა...

ფედოსიზე ნაკლებ შეწუხებული არც პორფილე იყო, მაგრამ გასვენების თავდარიგს მაინც განაგებდა; დიდი წვეულებაც გამართა გასვენების დღეს, ყველა თავისი ნათესავ-მოყვრები მოიწვია, ბევრი კელაპტარიც მოუვიდა, ორი გვირგინიც-კი ერია: ერთი იმ ბიძის მოტანილი, კალმახებს რომ უზიდავდა ვასოს.

— აბა, თქვენ იცით—სირცხვილი არ მაჭამოთ ამდენ პატივის მცემლებთან, კარგად გაუმასპინძლდით,—ეუბნებოდა პორფილე სუფრის მომწყობლებს.

ვაიმე, შვილო, ნუგეშინიანთ—მეტი არაფერი წაიღოს მისი ბინიდან და მისას ნურაფერს მოაკლებთ,—დაატანდა ფეფედოსი.

სუფრის მომწყობლებმა, რა თქმა უნდა, აასრულეს ცოლ-ქმრის თხოვნა: ხალხიც მაძღარი გაუშვეს და თვითონაც ლაზათიანად გამოთვრნენ. ხალხიც აქებდა პორფილეს უხვ მასპინძლობას.

ლეო იმნაძე.

ცისკარი.

ითლად წყობილ ცისკრის სხივმა
წითლად მორთო ცის ლაჟვარდი,
წითელ ალით გააღვივა
თეთრ ღრუბლისა თეთრი ვარდი;

წითელ ძაფით ამოქსოვა
ყვავილთ ნამი მოცქრიალე,
წითელ ალით გადასერა
ტბის ლაჟვარდი გამჭვირვალე;

წითელი ფრთა შეარხია,
ჩანჩქერს სტყორცნა, კლდეს მისხლეტილს,
და ჩანჩქერიც ირგვლივ აფრქვევს
შვიდ-ფეროვან წინწკლთა წერტილს.

ვიშ, შეხედე! ვით ცქრიალობს
ყვავილთ გროვა ნაზ-წარმტაცი,
ვით კრთის ნამში წითლად სხივი,
გარიჟრაჟზე მონატაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ ცისკრის წითელ ღიმილს
ჩემი ქნარიც დაემონა.
წითელ სხივთა ჩუმ ჟღერაში
აი მან რა გაიგონა:

„წითელ ისრით გარიჟრაჟმა
ღამის შავ ალს შეებრძოლა,
გაუგმირა მკერდი წყვდიადს:
ღამე მოკვდა... შეწყდა ბრძოლა,

და ცისკარმა გაბარჯვების
ლალის დროშა ცას გააკრა,
ტანჯულ ბიწას სხივთა ფრქვევით
გადმოსძახა:—ღამე გაჰქრა!“

გაიღვიძა დედამიწამ,
იმედის ხმით ძილ-შემკრთალმა;
წითელ შუქით ააყვავა
მთა და ბარი ცისკრის ალმა,

და მეც სევდის შავი ალი
ცისკრის შუქში გავახვიე;
წითელ ალში განბანილი
ცრემლი შვებად დავაფრქვი

ი. ხიხარულიძე.

საშოგაო პერანგი.

(ლეგენდა).

არლეტის გამჭვარტლული მოზრდილი ქოხი დედაკაცებით იყო სავსე. ერთი მეორის შემდეგ შედიოდნენ, თოვლიან ტანისამოსს იბერტყავდნენ და ავადმყოფის საწოლისკენ მიდიოდნენ. რა უნდოდათ დედაკაცებს ამ ქოხში?

ამინდი საძაგელია, და არც იმისთანა საღამოა, რომ სტუმრად მოსულიყვნენ; — დღეს-კი შობის ღამეა, და ყველა სცდილობს ეს ბედნიერი დღე შინ გაატაროს.

დიდედა ბრიგიტა, თუმცა ძალიან დაღონებული იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველას ალერსით ეგებებოდა და ეტყობოდა, ბავშვებს სტუმრებს კიდევ ელოდა.

— ეს დედაკაცები რად მოსულან?—ჰკითხა ავადმყოფმა თავის დიდედას.

— შენი გულისათვის მოვიდნენ, ჩემო დორა; ამათ „საშობაო პერანგი" უნდა შეგიკერონ.

ავადმყოფს იმედის სხივმა გადაჰკრა სახეზე. ბებრებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ საშობაო პერანგს ბევრი მძიმე ავადმყოფი დაუხსნია სიკვდილისაგანაო.

პერანგი უნდა უსათუოდ შეეკერათ ცისკრისა და წირვის დროს, არამც თუ მარტო შეეკერათ, არამედ ყველაფერი უნდა მოემზადებინად; უნდა გაეკეთებინად სელი, დაერთოთ ძაფი, მოექსოვათ ტილო და ამავე ტილოსაგან პერანგი შეეკერათ. და ყველაფერი ეს წირვის გამოსვლამდის უნდა შეესრულებინათ.

— მოასწრობთ-კი?—შიშით იკითხა დორამ.

— რასაკვირველია... ხედავ, რამდენი ვართ, —ცოცხლად მიუგო დიდედამ.

მართლადაც, ბლომად მოგროვილიყვნენ დედაკაცები. ყველანი ბებრები იყვნენ: მხოლოდ ქოხის ბნელ კუთხეში ახალგაზდა მემას ფერ-მკრთალი სახე მოსჩანდა.

სოფელში ყველამ იცოდა, რომ დორას და მემას ერთმანეთი უყვართ და ისიც გაეგოთ, რომ დიდედა ნებას არ აძლევდა დორას ღარიბი და ობოლი მემა შეერთო.

დიდედამ, როგორც-კი გაიგო იმათი სიყვარული, ქალი სახლიდან გააგდო ლანძღვა-გინებით. ბებრები მოგუზგუზე ბუხრის წინ კაბებს იშრობდნენ. მემამ, გაიგო თუ არა, დორას „შობის პერანგი" უნდა შეუკერონო—გადასწყვიტა წასულიყო სხვა ქალებთან ერთად და ეშველა.

დადგა საღამო. ქარი დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, გმანავდა; თოვლი ჰბარდნიდა და გზას ეფინებოდა. ქალი დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხანს იჯდა თავის ქოხში, ჩამქრალ კერის წინ, და ყოყმანობდა, წასულიყო იმ სახლში, საიდანაც გამოაგდეს, თუ არა. დედა მლვდელთან წავიდა ვახშმის გასაკეთებლად. ;ქმემა უცებ წამოხტა, თავშალი მოიხვია და კარლეტას სახლისკენ წავიდა.

დიდედამ მსწრაფლ შეხედა მას და შემდეგ პირი იქით მიიბრუნა.

— აი, უკვე დაღამდა,—სთქვა ერთმა მოხუცმა, როცა სასოფლო სომრეკლოზე ზარმა დაიგუგუნა. დედაკაცებმა მუხლი მოიყარეს და პირზე ხელები მიიფარეს.

ბუხარი-კი საამურად გუზგუზებდა და პირისფერს შუქსა ჰფენდა მაგიდებსა და საქსოვ დგიმს. კუთხეში სელით სავსე ტომრები ეყარა. ოთახის სილრმეში ლოგინი იდგა, რომელზედაც ავადმყოფი იწვა; სახეზე ტანჯვა და მწუხარება ეხატებოდა.

ზარი გუგუნებდა და გუგუნებდა—ხალხს იწვევდა.

ლოცვის გათავებისას ბებრები ადგნენ.

— აბა დროა, დავიწყოთ!—ბრძანების კილოთი სთქვა ბრიგიტამ.

დიდედამ სარკმელთან მიიყვანა დედაკაცები, მიუნათა ლამპარი, აჩვენა სელი. ამ სელისაგან უნდა მოექსოვათ და შეეკერათ ავადმყოფისათვის პერანგი.

მემამ ყველაზე მოზრდილ ტომარას წამოავლო ხელი და აქეთ გამოათრია.

დედაკაცებმაც მოზიდეს ტომრები, ამოიღეს სელი და ჩეჩა დაუწყეს. ოთახი მტვრით აივსო.

-- კმარა!—წამოიძახა კარლოტამ.

ყველამ სელის ნართები სკამზე დაალაგა.

— აბა, ახლა-კი სავარცხლებს მოჰკიდეთ ხელი და მარდად დავარცხნეთ სელი,—დაუმატა კარლოტამ, რომელიც ამ საქმეს მეთაურობდა.

მუშაობა სდუღდა. სკამების ბოლოზე ორ-ორი განიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარცხელი გაამაგრეს და თვითეული ქალი სცდილობდა ქმის დაწყებას. ოთახში ფუსფუსი ატყდა.

— წყნარად, წყნარად, მეზობელო!—მეთაურობდა კარლოტა.—შენ, კანდორა, ამ სავარცხელთან დადექ, შენ-კი პირდაპირ—მემა. მეორე სკამთან ბეტა დადგება. აი ასე—კეთილი! თქვენ ვარცხნეთ და მოგვაწოდეთ სელის ძარღვი, ჩვენ-კი თითის ტარზე დავართავთ. გაჩეჩილ სელს რთვა დაუწყეს.

— მსხვილად დაართეთ: საქმე უფრო კარგად წავა.

ჯარა დატრიალდა.

— დიდედა, პერანგს მოძისწრობთ?—მოისმა დორას მისუსტებული ხმა.

— მოგისწრობთ, შვილო,—ღმერთი მოწყალეა!...

დორას ხმაში საშინელი ტანჯვა გამოკრთოდა; დორას სიცოცხლე სწყუროდა და ეშინოდა—იმედი არ გასცრუებოდა.

ახლა კოჭებზე უნდა გადაეხვიათ, მერე დგიმზე უნდა გაებათ. სამუშაო კიდევ ბლომად იყო. ყველა ხმა-ამოუღებლივ და გულ-მოდგინედ მუშაობდა.

როდესაც ყველაფერი დაამზადეს, კარლოტამ მხიარულად სთქვა.

— მემა, ჩვენ ყოჩაღები ვართ!

კარლოტამ, ცოტა არ იყოს, სიამაყით შეხედა კარგად გაწყობილ დგიმ-სავარცხელს.

მემა ძალიან კმაყოფილი იყო. ახლა ის მალვით-კი აღარ უყურებდა დორას, პირიქით—თამამად ულიმოდა. თუ „საშობაო პერანგი" რასმეს უშველის დორას, იგი მემას მადლობელი უნდა იყოს.

ბებრები მუშაობას თან-და-თან ჩამორჩნენ. ზოგნი ცეცხლა პირს ჩამოსხდნენ და თვლემა დაიწყეს.

— ჰაი, თქვენ ძილის გუდებო, თქვენა!—რა დროს თვლემაა: ჰა?!. აბა, საქსოვს ვინ მიუჯდება? მე ჯ მემა აღარა ვართ, ისე დავიქანცებით! ახლა თქვენი ჯერია.—სთქვა კარლოტამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ დედაკაცები ყაყანებდნენ და საქმის დაწყებამდე ერთმანეთს ეცილებოდნენ, მემამ მკვირცხლად მიირბინა ქარგასთან და მუშაობა დაიწყო. როდესაც რომელიმე ქალი სთხოვდა—ჩემ მაგიერ ახლა შენ დაისვენეო, მემა თავის ქნევით უარს ეუბნებოდა და უფრო ცოცხლად იწყებდა მუშაობას.

— შესანიშნავი მშრომელი ქალი დადგება მემა; ჩემ დღეში არ მინახავს ამისი მზგავსი,—ეუბნებოდა კარლოტა ბრიგიტას:—აკი გითხარ, უამისოდ ვერას მოვახერხებთ მეთქი.

ახლა-კი დიდედამ კეთილ-ინება და თავი ოდნავ დაუქნია.

— რასა იქთ, როგორ მიდის საქმე, პერანგს მომისწრობთ?—აღელვებით იკითხა ავადმყოფმა.

— გაგითავებთ, გაგითავებთ!—თითქმის დარწმუნებით უპასუხა დიდედამ,—გესმის, უკვე ქსოვენ.

დგიმის ჯახა-ჯუხი გარკვევით ისმოდა. იშვიათად შესწყტებოდა ხოლმე ხმა, ისიც მაშინ, როდესაც მემა ძაფს კვანძს აცლიდა. დრო-გამოშვებით მოისმოდა ხმა დედაკაცებისა, რომელნიც ლუდს შეექცეოდნენ. მემასაც ჭიქა მიაწოდეს; მან ოდნავ მოსვა და ისევ საქმეს მოჰკიდა ხელი.

— დალიე, ქალო, დალიე!—სთავაზობდა თვით დიდედა ბრიგიტა.

ქალმა საჩქაროდ დალია. დიდედას ყურადღებამ ფრთები შეასხა ახალგაზდა ქალს და წაახალისა.

— აი, უკვე გავათავეთ კიდეც!

— ღმერთმა გაკურთხოს ამისათვის!—გაისმა ავადმყოფის მიხრწნილი ხმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მემა მთლად აენთო, წამწამზე მარგალიტის მარცვალივით გადმოეკიდა ცრემლი და სამუშაოზე ჩამოუგორდა.

ამ დროს საყდრის სამრეკლოზე ზარმა დაიგუგუნა.

— უკვე ათი საათია; ორი საათიღა დარჩა შუალამემდე; ამ დროისთვის ხალათი მზად უნდა იყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვასწრობთ, დრო კიდევა გვაქვს! — სიხარულით ყვა-მოიძახა დიდედამ. — გმადლობ შენ, უფალო!

მემაც ოდნავ გასაგონი ხმით ლოცულობდა.

სანამ ბებრები ქარგიდან ტილოს იღებდნენ, მემა ფერ-მიხდილი და მუშაობით მოქანცული მიჰყრდნობოდა კედელს. ნაღველით აღსავსე თვალებიდან იმედის შუქი გამოჰკრთოდა.

მემას წინ დიდედა იდგა.

— ყური დამიგდე! — მიმართა მან ქალს, — უშენოდ ვერას გავხდებოდით, მაგრამ არ მინდა, რომ მუქთად მუშაობდე ჩემ-თვის: რამდენი მოგცე გასამრჯელო?

ამ სიტყვებმა მემას გული დასწყვიტა, თავი ველარ შეი-მაგრა და მწარედ ატირდა.

ავადმყოფმა მძიმედ ამოიკვნესა და კედლისკენ გადა-ბრუნდა.

ამასობაში კარლოტამ პერანგი გამოსჭრა.

— აბა, დიდედავ, ერთი ნემსები მოგვეცი. მე გვერდებს გავკერავ, როზალიამ-კი სახელოები შეჰკეროს. ბებიამ სანემსე მიაწოდა. როდესაც ნემსები დათვალიერეს, დედაკაცებმა სამი ძალიან მსხვილი ნემსი ამოარჩიეს. მაგრამ ერთ ნემსსაც ვერ გაუყარეს ძაფი, მიუხედავთ იმისა, რომ ქალები ბევრსა სცდი-ლობდნენ.

— ამაზე წვრილი ძაფი არ გექნება, ბრიგიტა? ეს ძალი-ან მსხვილია!

— მაქვს, მაგრამ იმ ძაფით უნდა შეიკეროს, რომელიც დღეს დავართეთ; ჩვენ-კი ამაზე წმინდა ძაფი არც ერთი აგე-ბა არა გვაქვს.

— მაშ რა ვქნათ?

დიდედა საშინლად გაფითრდა.

— რა გვეშველება? — უიმედოდ ამბობდნენ დედაკაცები. დიდედა ბრიგიტა სასოწარკვეთილებით ემუდარებოდა ქალებს, რომ რაიმე ხერხი ეხმარათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბრალო, ჩემო საბრალო დორა,—წუწუნებდა ბებერი დედა.

ყველას შიში ეხატებოდა სახეზე; ამასთანავე იმათ ცუდი ნიშანი აწუხებდა. თუ ასე კარგად დაწყობილი საქმე ჩაიფუშა, სჩანს ღმერთს ასე სწადია, და ყოველივე ცდა დიდი ცოდვაა. დედაკაცები ელდა-ნაკრავებსავით ისხდნენ. საწოლიდან-კი ავადმყოფის გმინვა-ღა ისმოდა.

მეზობლები თან-და-თან წავიდ-წამოვიდნენ.

ბრიგიტა მარტოდ დარჩა თავის მომაკვდავ შვილის-შვილთან.

— ო, ქალწულო მარიამ, ჩვენო მფარველო!—წამოიკვნესა დიდედამ, ღვთის მშობლის ხატის წინ დაეცა და მხურვალედ დაიწყო ლოცვა.

დიდედა ლოცულობდა და მდუღარება ნაკადულად გადმოსდიოდა თვალთაგან.

ოთახში უცებ რაღაც ფაჩუნი მოესმა. დიდედამ თავი აილო და დაინახა, რომ ვიღაცა ზის სკამზე და გამალებული მუშაობს.

— ვინა ხარ? — ჰკითხა დედაბერმა.

— მე ვარ,—წყნარად უპასუხა მემამ თავ-აუღებლივ.

დიდედამ მასთან მისვლა დააპირა, მაგრამ შერცხვა, რადგან მოაგონდა ის შეურაცხყოფა, რომელიც ამ თავგანწირულ ქალს მიაყენა. მერმე გული მოულბა და ალერსით შეხედა მემას.

— დიდედავ, ერთი სახელოს მიკერება-ღა მიკლია და პერანგი მზად არის,—აღელვებით წარმოსთქვა ქალმა.

— ნემსი სადღა იშოვე?—ჰკითხა დიდედამ.

— შინა...

ეს ისეთი კილოთი სთქვა, რომ თითქოს მისი „შინა“ აქვე ახლოს ყოფილიყოს. ბებიამ-კი კარგად იცოდა, სადაც სცხოვრობდა ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საათის წინ, როცა მემამ ნახა, რომ არც ერთ ნემსს ძაფი არ ეგება, მსწრაფლ თავშალი მოიხურა და სახლისაკენ მოჰკურცხლა. ფეხები თოვლში ეფლებოდა, ქარი თავშალს გლეჯდა, მაგრამ მემა მაინც მირბოდა, რაც ძალა და ლონე ჰქონდა.

დედა სახლში არ დაუხვდა; ბნელაში მოძებნა მსხვილი ნემსი, გულზე გაირჭო და უფრო ჩქარა გამობრუნდა უკან. დიდის გაჭირვებით მოაღწია დორას სახლს.

ზარმა თერთმეტი ჩამოჰკრა.

— ერთი საათი, მხოლოდ ერთი-ღა დარჩა.

მემა მარდად შევარდა ქოხში და კერვას შეუდგა.

ბებერი უსიტყვოდ შეჰყურებდა ქალს, რომელიც ერთ წამსაც არ ჰკარგავდა.

საყდრიდან გაისმა ზარის რეკა.

— ეს ,,უკანასკნელია'', დიდედო,—გაისმა საწოლიდან უიმედო ხმა.

ბრიგიტამ ვერც-კი მოასწრო პასუხის მიცემა, როცა წამოხტა მემა, აბერტყა თავისი ხელსაქმე და მხიარულად წარმოსთქვა:

— აი, უკვე მზად არის!

დორამ სიხარულით გაიღიმა.

— ქალო, მიშველე, თორემ მარტო ვერ ჩავაცმევ პერანგს,—სთქვა დიდედამ.

დორა წამოჯდა ლოგინზე, მაგრამ დასუსტებული ისევ გადაესვენა ბალიშებზე. შეგეცოდებოდათ ახალგაზდა კაცი—ისეთი გამხდარი იყო. თრთოლამ აიტანა, სახეზე სიხარულის ალმურმა გადაჰკრა—იმედმა და ქალის სიახლოვემ მთლად გამოაცოცხლა.

— ოჰ, მემა, მემა,—ლუღლუღებდა იგი, როდესაც ქალებმა ,,საშობაო პერანგი'' ჩააცვეს და საბანი წაახურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდედამ თავი დახარა, პირჯვარი გადასწერა-ამოსწერა, მყოფს და ალერსით სთქვა:

— მართალია, დორა, ის რომ არ ყოფილიყო... მემა... მაგრამ ღმერთი მოწყალეა, მალე მორჩები. მე ორთავეს ერთნაირად შეგიყვარებთ.

ახალგაზდანი სიხარულით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, და ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდათ თვალთაგან.

თარგმ. **თამარ კარბელაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი.

(დასასრული)

X

უსინათლო წინამძღოლი.

მიცვალებულ უხუცესის ბატივის ცემა.—ქალები.—კრომლები.—ტბისკენ მიმავალი გზა.—დიდი ველის უცნობი ხალხი.—კრეკი ესაუბრება უცნობებს.—რას უპასუხებს იმათში ყველაზე უმცროსი.—ერთი ტომის მოსპობა.—გაქცევა დასარჩენებისა.—უსინათლო წინამძღოლი.—მისი ნაამბობი.—კრეკი უსინათლოს ამბავს ამთავრებს.—ახალგაზდა უცხოელის გულადობა და თავის გაწირვა.—იგი თავის სახელს ამყოვნებს.—ახალგაზდა უცხოელის ამხ.ნაგების სახელები.—შეერთდნენ, რომ თავის დღეში აღარ განშორებულიყვნენ.—ტბაზე დაბრუნება.—უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალის დასასრული.

ხუცესის სიკვდილის მეორე დღეს მეთაურები საგანგებო რჩევაზე შეიკრიბნენ. ამ კრებაზე გადაწყვეტილი იყო უხუცესის ნაშთი ტბის ძირზე არ ჩაეშვათ და ქვიშა არ მიეყარათ, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ უბრალო კაცის დასაფლავების დროს, არამედ დიდებულად უნდა დაემარხათ მიწაში, შუა ტყეში, როგორც შეეფერებოდა მის მაღალ წოდებას და დიად სიბრძნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებული ტანისამოსითა და იარაღით შეახვევს ხის ქვრქში და ნავში ჩაუშვეს.

კრეკს ჰქონდა დავალებული ნავი მიცვალებულით ნაპირზე გადაეყვანა.

მეთაურებს და მეომრებს კი ნავებით უნდა გაეცილებინათ.

მეთაურების გადაწყვეტილება მეორე დღესვე გათენებისას უნდა აესრულებინათ.

როდესაც ნავები ნაპირთან მივიდნენ, ახალგაზდებმა ხის ტოტებისაგან საკაცე გააკეთეს და ზედ უხუცესის ნაშთი დაასვენეს. შემდეგ ხალხი გაუდგა გზას. წინ რიუგსა და ჰელის მიჰქონდათ საკაცე; ამათ მისდევდა კრეკი, მწუხარე მეთაურთა თანხლებით.

უკანა რიგში კაცებს მოჰქონდათ ხორცი, თევზი და მწვანილი, რომელიც ქელეხისათვის იყო დამზადებული. წყლით სავსე ტიკები მოჰქონდათ, იმ შემთხვევისათვის, თუ გზაში მდინარე არსად შეხვდებოდათ.

ტყეში ძნელ და ხანგრძლივ სიარულის შემდეგ, ხალხი უფროს მეთაურის ხელმძღვანელობით ერთ ვიწრო ვაკე ადგილას მივიდა; ამ ალაგას ტომის მეთაურის მეტი არავინ ყოფილა.

სწორედ ეს განცალკევებული ვაკე ამოარჩია მან უხუცესის საუკუნო სავანესათვის. უხუცესმა ეს დაიმსახურა ხანგრძლივი სიცოცხლის წყალობით, რომელიც სავსე იყო მწუხარებითა და მოუსვენარი ბრძოლით.

მეთაურის ბძანებით შუა ალაგას ამოთხარეს ორმო და ჩაასვენეს შიგ მოხუც უცხოელ მეომრის გვამი.

შემდეგ ამ საფლავს შუა-ღამემდის ყველა დამსწრე განუწყვეტლივ აყრიდა მიწას. შუა ღამეს საფლავზე ოცი ფუტის სიმაღლე გორაკი აიმართა.

ეს ამაღლებული ალაგი, რომელზედაც მიწა, ქვა და ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტები იყო მიყრილი, მარტო მგზავრისათვის საჩვენებელი ღირსეულ და სახსოვარ ადამიანის სამარე კი არ იყო: ამ გორაკს ნადირებისა და სხვა-და-სხვა ბუნების მრისხანე მოვლენათაგან უნდა დაეფარა მოხუცის ნაშთი.

როდესაც ამ მუშაობას მორჩნენ, ცეცხლის ანთებასა და საჭმლის მზადებას შეუდგნენ.

დრო-გამოშვებით მოიგონებდნენ ხოლმე საუცხოვო ხასიათს პატივცემულ ამხანაგისას, რომელიც სამუდამოდ დეჰკარგეს. ქელეხი გადაიხადეს. ეს ჩვეულება საუკუნიდან საუკუნეში გადადიოდა, ხოლო, რაც დრო გადიოდა, თან-და-თან თავის მნიშვნელობას ჰკარგავდა.

მართლაც, უძველეს დროის ქელეხი, ჩემო ძვირფასო ჟორჟ, სრულიად არ ჰგავდა იმ დაუსრულებელ ქეიფსა და დროს გატარებას, რომელიც ახლო წარსულში იცოდნენ.

მაშინდელი ქელეხი დიდ ხანს არ გასტანდა ხოლმე და საჭმელიც ბევრი არ ჰქონდათ. იმ დროს უდაბურ ალაგას ბევრი ხალხი მოდიოდა და ხშირად ცარიელი მუცლითაც,— ერთი სიტყვით, ისეთი ხალხი იყრიდა თავს, რომელსაც მიცვალებულის დასაფლავების შემდეგაც შიმშილი აწუხებდა.

სიარულითა და მუშაობით დაღლილნი დამსწრენი თავიანთ ძალ-ღონეს აქვე იკრეფდნენ საჭმლის შემწეობით.

ხშირად დალალულობა და ღამის სიბნელე აიძულებდა ხოლმე ხალხს ღამე აქ გაეტარებინა.

ასეც მოიქცნენ უხუცესის დასაფლავების დღესაც ბოძებზე გაშენებულ სოფლის მცხოვრებნიც.

ინათლა, და ესენიც ფეხზე იდგნენ და ეზაღებოდნენ უკანასკნელ განსაკუთრებულ მუშაობისთვის, რომ უფრო დიდებულად გაეპატიოსნებინათ მიცვალებულის ხსოვნა და ყველა მოხეტიალე ხალხისათვის ეცნობებინათ, თუ რა საპატიო პირი არის აქ დასაფლავებული. უფროსმა მეთაურმა უბძანა თავის მეომრებს ახლო-მახლო ქვები მოეგროვებინათ და გორაკის გარშემო დაერჭოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა დღისთვის ვაკეზე ულშველებელი ქვების წრე გაკეთდა. წრის შუა გულში კი გორაკი იყო ამართული.

ასეთ ქვის წრეებს, ძველი დროიდან დარჩენილ „კრომლეხებს“, დიდ თაყვანსა სცემდა ჩამომავლობა. ახლაც, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ, საფრანგეთში და ჩრდილო ევროპის სხვა ქვეყნებში ამისთანა ძეგლები ბლომად მოიპოვება.

ესენი ეკუთვნიან იმ მეგალიტიურ ძეგლებს, რომლებზედაც მე უკვე გელაპარაკე, ჩემო პატარა ჟორჟ.

კრეკს და მის ძმებს, როგორც უფრო ველურ ხალხის შვილებს, ვიდრე ტბის მცხოვრები ხალხი იყო, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ დასაფლავების წეს-რიგისა, რომლის მოწმედაც ახლა გახდნენ. ყველაფერს დაფიქრებულნი და თან გაკვირვებულნი უყურებდნენ.

მაგრამ ამავე დროს დიდი მადლობელნიც იყვნენ, რომ ასე ზრუნავდა ხალხი მათი ძველი მეგობრის ხსოვნის პატივისცემისათვის და მის გვამს გარეულ ნადირების კლანჭებისაგან იცავდა. აქვე გულში ფიცი დასდეს—მომავალში ყოველთვის ამ პატიოსან მაგალითისათვის მიებაძნათ იმ შემთხვევაში, როცა მათი ახალი ამხანაგები ნადირობის ან ბრძოლის დროს სახელოვნად დაიღუპებოდნენ.

როდესაც ქვის წრე დასრულებული იყო, მეთაური მიუახლოვდა სამ ძმას და სთხოვა ეთქვათ მეომრებისათვის, რომ მათი ნამუშავრით კმაყოფილნი არიან.

ძმებმა მეთაურს მადლობა გადუხადეს, შემდეგ მიმართეს მეომრებს მოკლე სიტყვით და თავისი გრძნობები ნათლად გამოხატეს.

მეომრები შუბების ქნევით გარს უვლიდნენ უკვე ჩამქრალ ცეცხლს და თან დრო-გამოშვებით საშინლად ჰყვიროდნენ. ეს ყვირილიც თან-და-თან მისწყდა.

შემდეგ შეგროვდნენ უფროს მეთაურთან და გამგზავრების ნიშანს უცდიდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეომრები შუბების ქნევით გარს უვლიდნენ უკვე ჩამქრალ ცეცხლს და დრო-გამოშვებით ხაშინლად ყვიროდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესები შეასრულეს—ახლა ისევ სოფელში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

კრეკი და მისი ძმები ჩუმად მიდიოდნენ დაღონებულნი: ჰშორდებოდნენ იმ ადგილს, სადაც უხუცესის საფლავი დასტოვეს; მეომრები მხიარულად წინ მიისწრაფოდნენ და თავიანთ საქმეზე მუსაიფობდნენ. ისინი მომავალ ნადირობასა და თავის ოჯახში დაბრუნებაზე ფიქრობდნენ.

იმ უძველეს დროს, ჩემო ჟორჟ, ყოველისფერი, რაც გულს საგრძნობლად ჰხვდებოდა, კიდევაც მალე ქრებოდა ხოლმე; რადგან დიდი ბრძოლა სჭირდებოდათ სხვა-და-სხვა ბუნების მოვლენებთან, მათი წუხილი ხანგრძლივი არ იყო.

ხვალინდელ დღეზე, მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ფიქრი (წარმოდგენა მომავალისა ძალიან ბუნდოვანი იყო მათთვის) მალე აქარწყლებდა გუშინდელი დღის მწვავე მოგონებას. მუდმივი ზრუნვა ყოველ-დღიურ ცხოვრებისათვის, ყოველ-მხრივ შიში და საფრთხე რასაკვირველია ნებას არ აძლევდა წარსულზე ეფიქრათ.

ამნაირად მეომართა გუნდი ბრუნდებოდა ბოძებზე აშენებულ სოფელში თითქმის მხიარული და გამხნევებული. გასაკვირველიც არ იყო: გუნდი მრავალ-რიცხოვანი და კარგად შეიარაღებული იყო, ასე რომ შიში არაფრისა არ ჰქონდა; დარწმუნებულნი იყო, რომ მშვიდობით დაბრუნდებოდა სახლში საუცხოვო ნადავლით, რომელსაც გზაში იშოვიდა.

დაღამებისას, როდესაც გუნდი ტყიდან გაშლილ ვაკეზე გამოვიდა, წინ მიმავალი მეომრები უცბად წააწყდნენ რაღაცას, რამაც საშინლად გააკვირვა ისინი.

დაინახეს სამი არსება—ერთი ახალგაზდა კაცი და ორი ახალგაზდა ქალი; ესენი მოსხდომოდნენ მათზე ბევრად უფროს კაცს, რომელიც მკვდარს ჰგავდა, ან კვდებოდა. ეს უცნობები, ეტყობოდათ, ძალზე დასუსტებულნი იყვნენ დაღალულობისა და სხვა-და-სხვა გაჭირვების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცებულის ახლოს სისხლის გუბეში დათვის ძმარი ეგდო.

წინა მეომრებმა საშინელი ყვირილი შეჰქნეს, რომ უკანათათვის შეეტყობინებინათ ამბავი და უკანასკნელნი, უფროს მეთაურის წინამძღოლობით, ამ ოთხ უბედურთან გაჩნდნენ.

ამასობაში ორივე ახალგაზდა ქალი და ახალგაზდა კაცი ბარბაცით წამოდგნენ და თვალებითა და ნიშნებით ეეედრებოდნენ შებრალებას, თან რაღაცას ლაპარაკობდნენ, რაც ტყის მცხოვრებლებს არ ესმოდათ, ხოლო აზრი კი გაიგეს.

კრეკი უცნობების ლაპარაკის დროს უცბად შეკრთა და რიუგს და ჰელის გადახედა; ამ წუთში ამათ თვალებშიაც აღშფოთება და აღელვება გამოიხატებოდა.

და აი რატომ.

ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ამათ აღარ ულაპარაკნიათ იმ ენაზე, რომელზედაც ოდესმე ლაპარაკობდნენ სამშობლო მღვიმეში; გადასწყვიტეს შეეთვისებინათ და მალეც შეისწავლეს ბოძებზე აშენებულ სოფლის მცხოვრებლების ენა, მაგრამ მაინც ბავშვობაში გაგონილი სიტყვები არ დავიწყებოდათ: და ის, რაც მათ ახლა ასე აოცებდა და აღელვებდა, იყო ეს ოდესმე გაგონილი სიტყვები: ამ სიტყვებს ამბობდნენ ახლა ეს უცნობები.

ბინდ-ბუნდში ვეღარ არჩევდნენ ვერც სახეებს და ვერც ტანსაცმელს ამ უბედურებისას; სამთავე ძმებმა ერთსა და იმავე დროს გაიფიქრეს, რომ შესაძლებელია ესენი მათი მღვიმეს მცხოვრებლების ვინმე გამოქცეული მეზობლები იყვნენ. ეს თავისი აზრი უფროს მეთაურს შეატყობინეს; ამანაც საბუთიანად სცნო და უბრძანა დაუყოვნებლივ გამოეკითხათ ეველაფერი მგზავრებისათვის.

მანამ ესენი ლაპარაკობდნენ, მეომრებმა გააჩაღეს ცეცხლი და საჩქაროდ ასვეს და აჭამეს უცნობებს. წყურვილით დატანჯულნი ხარბად დაეწაფნენ წყალს, ხოლო საჭმელზე უარი სთქვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე სცადეს რამოდენიმე წყლის წვეთი მოხუცის პირში ჩაეშვათ, მაგრამ ამაოდ:—იგი უკვე მკვდარი იყო.

შემდეგ კრეკმა დაუწყო ამ უბედურებს ამბის გამოკითხვა, ამავე დროს გულ-დასმით ათვალიერებდა ცეცხლის სინათლეზე მათ გამხდარ, ტალახში ამოსვრილ და დიდი ხნის წანწალის დროს ეკლებისაგან დაკაწრულ სახეებს.

ორივე ქალი ჩუმად და უძრავად იჯდა: ცხადი იყო ძალიან დასუსტებულები იყვნენ. მარტო ახალგაზდა კაცი აძლევდა პასუხს.

უამბობდა, რომ ძალიან შორიდან წამოსულნი და უთუოდ უკანასკნელნიც არიან მძლავრ და ოდესმე მრავალ-რიცხოვან ოჯახიდან, რომელიც მეზობელმა მტრებმა ნელ-ნელა გასწყვიტეს, გაანადგურეს და უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდეს.

— ბოლოს,—დაუმატა ახალგაზდა უცხოელმა,—უკანასკნელ და სასტიკ ბრძოლის შემდეგ, ზოგმა ჩვენმა მხედართაგანმა, რომელიც დაჭრილი არ იყო, როგორც მაგალითად მე, გადავსწყვიტეთ ტყეს შევფარებოდით და თან დედაკაცები და ბავშვები წამოვიყვანეთ. მაგრამ ბევრი ჩვენთაგანი დაიჭირეს და დახოცეს, ზოგი კიდევ ტყვედ წაიყვანეს. და აი, მხოლოდ ეს ორი ქალი და ეს მოხუცი, რომლის ცივი გვამი ღა დარჩა, და მე გადაურჩით გამძვინვარებულ მტერს, ისიც იმიტომ, რომ დაუსვენებლივ დღე-და-ღამ მოვრბოდით. ნელის ნაბიჯით მხოლოდ მაშინ დავიწყეთ სიარული, როცა გადავწყვიტეთ, რომ უშიშარ ალაგას ვართ; მაშინ ალალ ბედზე კი აღარ მოვდიოდით, როგორც წინად: ახლა ჩვენ მოვდევდით მოხუც ამხანაგს, რომელიც გზას გვიჩვენებდა. ხანდა-ხან სრულიად ჰკარგავდა ხოლმე სიმხნევეს და გვეხვეწებოდა—წავსულიყავით და იგი განგების ანაბარა დაგვეტოვებინა.

— მაგისთანა თხოვნა რით იყო ხოლმე გამოწვეული?—ჰკითხა კრეკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის ჰფიქრობდა, რომ ამისთანა განსაცდელის დროს გვიშლიდა ხელს, რადგანაც უსინათლო იყო.

— უსინათლო?

— დიახ, უსინათლო. სრულიად არაფერს ჰხედავდა. იგი უცხო იყო ჩვენი ტომისათვის; ჩვენ იგი შეგვხვდა ტყეში, სადაც მშიერი დაეხეტებოდა. საიდან იყო—არავინ იცოდა; ჩვენმა მეთაურებმა წაიყვანეს და მიიღეს თავის ოჯახში.

— ბრმა მიიღეს! რისთვის იყო იგი გამოსადეგი?—წამოიძახა გაკვირვებულმა კრეკმა:—ეს ვერაფერი ჭკუა მოსვლიათ თქვენ მეთაურებს.

— ჩვენ მოხუცებულებს ასე არ ეგონათ,—მიუგო ახალგაზდამ: — მიიღეს უსინათლო უცხოელი, რადგანაც იგი დაჰპირდა, თუ სიცოცხლეს მაჩუქებთ, გაჩვენებთ გზას უცნობ, მშვენიერ ქვეყნისკენ, სადაც თბილა და სადაც ბევრი ნადირია, ფაქიზი ფესვები, გემრიელი ხილი და ყველგან ანკარა წყლები ჰსჩქეფ, ისეთ ქვეყანასო, ამბობდა იგი, სადაც ცხოვრება ადვილი და მშვიდობიანია, სადაც ხალხი თვალუწვდენელ წყლის სივრცეზე აშენებულ ქოხებში ცხოვრობსო.

„მაშ ამ ბრმას უნახავს ჩვენი ტბა“,—გაიფიქრა გაკვირვებულმა კრეკმა.

— აი, ამ დროდან ბრმა მეომარი ცხოვრობდა და იკვებებოდა ჩვენთან. იგი ელოდა, როცა ჩვენი უხუცესები იგრძნობდნენ ტომის მოახლოვებულ აღსასრულს და ბოლოს გადასწყვეტდნენ სხვა ქვეყანაში გადასახლებას, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, მათ არა ჰქნეს. „იგი ჩვენ გამოგვადგება თავისი ამბებით“,—გვარწმუნებდა ჩვენი უფროსი მეთაური. მართლაც უცხოელმა ბევრი რამ იცოდა და ბევრ რამეს გვასწავლიდა. ასე გეგონებოდათ—თვალის მაგიერობას მეხსიერება და გამოცდილება უწევსო,—ისე გამართლდა იმისი ნათქვამი.

— მაშასადამე, იგი გამოსადეგი იყო ყველასათვის და თქვენც კარგად მოიქეცით, რომ მიიღეთ თქვენს ოჯახში და სიცოცხლეც აჩუქეთ,—დინჯად უთხრა კრეკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, ჩემო ძვირფასო ჟორჟ, რამდენიმე სიტყვით აგიხსნი, რასაკვირველია, მიზეზს იმ სასტიკ გაკვირვებისას, რომელიც კრეკმა გამოიჩინა, როდესაც შეიტყო, რომ უსინათლოს ადამიანურად მოექცნენ.

უძველეს დროის ხალხში თვითეული ადამიანი მოვალე იყო მუდამ ეშრომნა საზოგადო საქმის გასაუმჯობესებლად, წლოვანობისა და ძალ-ღონის დაგვარად: თვითეულ მათგანს ან სანოვაგე უნდა ეზიდნა მთელ ტომისათვის, ან ხელი უნდა შეეწყო იმის კეთილდღეობისათვის, ან იმის მფარველად უნდა ყოფილიყო; ამიტომაც ყველა მახინჯად დაბადებულს, ან შემდეგ დამახინჯებულს, საზოგადოება, რომელსაც გაჭირვება აიძულებდა სასტიკი და შეუბრალებელი ყოფილიყო, უყურებდა როგორც წევრს, რომელსაც თავისი მოვალეობის ასრულება არ შეუძლია და მაშასადამე, როგორც ტვირთს, რომლის შენახვაც მხოლოდ ზარალს გამოიწვევდა. ამისთანებს თითქო თვით ბუნებაც წინ-და-წინვე მსხვერპლად ჰსახავდა, ხალხიც სასტიკად სჯიდა. ამნაირად ისინი იშორებდნენ მეტ მჭამელს, მეტ ტვირთს და კარგა მყოფ ხალხს ანთავისუფლებდნენ ამნაირ პირებისაგან, რადგანაც საკმარისად არ იყვნენ შეიარაღებულნი ულმობელ ცხოვრებასთან საბრძოლველად.

ეს შეუბრალებელი დასჯა სიკვდილით, რომელიც ახლა ჩვენ გვაშფოთებს,—თუმცა აქამდისინაც ამნაირი მაგალითებია რამოდენიმე თანამედროვე ველურებს შორის, მაგალითად —პოლინეზიაში,—დიდხანს არსებობდა, მაგრამ იმ ბნელ დროში არავის გულში არ იწვევდა წინააღმდეგობას მსხვერპლის სასარგებლოდ.

იმ ხალხში, რომელიც განათლებით ბევრად მაღლა იდგა ველურებზე, როგორც მაგალითად—ძველი ბერძნებია, რომ ლებმაც იმ დროს უმაღლეს განვითარებას მიაღწიეს, იმ ხალხში, რომლის სახელი ახლა შენთვის ცნობილია, სპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელები — დიდხანს სწირავდნენ მსხვერპლად სუსტ ბავშვებს; ჰყრიდეენ ღრმა ხრამში, ბარატრუმში, ჰყრიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მახინჯობისაგან დაეცვათ თავისი ტომი.

საბრალო კრეკი გულ-წრფელად ფიქრობდა, რომ უმწეო ხალხის დასაცავად საჭირო იყო მოეშორებინა თავიდან არსებობისათვის ბრძოლაში გამოუსადეგარნი. კრეკისათვის ეს ისეთსავე მოვალეობას წარმოადგენდა, როგორც ჩვენ დროში ადამიანის მოვალეობაა მხურვალე მონაწილეობა გაჭირვებულ ადამიანის დასახმარებლად.

მაგრამ ჩვენ ცოტა გადაუხვიეთ, ჩემო პატარა ჟორჟ, და დროებით დავივიწყეთ უცხოელები, რომლებთანაც კრეკი მუსაიფობდა. დაუბრუნდეთ ისევ იმათ და ნულარ დავშორდებით.

ახალგაზდა უცხოელი განაგრძობდა: —

— ჩვენ არ მივატოვეთ უსინათლო მეომარი, რომელიც ბევრს გვეეედრებოდა; ვაქმევდით, რასაც ნადირობის დროს ვშოულობდით, სამაგიეროდ ის ჩვენთვის საუკეთესო მრჩეველი და გამოცდილი წინამძღოლი იყო. ჩვენ წამ-და-უწუმ მოუთხრობდით იმას, რასაც ვხედავდით ჩვენს გარშემო, ცასა და დედამიწაზე, ხეებსა და მცენარეებზე, — ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რასაც გზაში ვხვდებოდით; ის კიდევ გვასწავლიდა, რომელ მხარეს უნდა წავსულიყავით. გზა გრძელი იყო. ერთ საღამოს, როდესაც უსინათლომ იგრძნო, რომ დღითი-დღე ღონე ეცლება, შეეშინდა, ვაი თუ ისე მომკვდარიყო, რომ ვერ მივეყვანეთ იმ ქვეყნამდის, რომელზედაც ყოველთვის გვიაზბობდა; მოგვცა სხვა-და-სხვა დარიგება გზის შესახებ, რომლითაც უნდა გვევლო, შემდეგ დაიწყო ლაპარაკი იმ ხალხზე, რომელიც უეჭველად ძალიან ჩქარა უნდა შეგხვედროდა. „ისინი ალბად თავშესაფარს მოგცემენ, რადგანაც თქვენ თხოვნით მიხვალთ და არა მტრულად“, სთქვა მან, და შემდეგ დაუმატა: „იყო დრო, როდესაც ჩუმად დავხეტიალობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი მათ საშფლობელოში; მე, რასაკვირველია, მარტო არ ვიყავი და მაშინ ჯერ კიდევ არ მქონია ამ თვალებზე სამუდამოდ ბნელი ზეწარი ჩამოფარებული. დიდხანს ვადევნებდი თვალყურს ამ ხალხს, რომელთანაც ახლა მიმყევხართ; ისინი მშვიდობიანად იჭერდნენ თევზებს ტბაში, სადაც ერთგვარ ნავებით—ხელოვნურად გამოღრუტნულ ხის ბოძებით დადიოდნენ. აი ამ ხალხის დანახვაზე ამეძრა მეცა და ჩემ ამსანაგებსაც საშინელი სურვილი დავპატრონებოდით მშვენიერ წყალზე აშენებულ სადგომებს, აგრედვე მათ იარაღს, რომლის შემწეობით ამ ხალხს ასე მშვიდობიანად შეეძლო ძილი და ყოველთვის ბლომად ჰქონდა სანოვაგე. ჩვენ რამდენჯერმე ვცადეთ მათი დამარცხება, მაგრამ ყოველთვის უნაყოფოდ. ამ ბედნიერი ხალხის სიფრთხილე ყოველთვის გვიფუჭებდა საქმეს. ბოლოს, ერთ ღამეს, მოგვეცა შემთხვევა მძინარეებს დავსცემოდით თავს და გადავსწყვიტეთ შიგ სოფელში შესვლა. მაგრამ ვაი ჩვენ უბედურებას!—დაიკვნესა ჩვენმა წინამძღოლმა წარსულის მოგონებაზე,—ამ ღამეს ჩვენ საბოლოოდ დავმარცხდით, რადგანაც ჩვენი ამხანაგების მეტი ნაწილი ამ ბრძოლაში დაიღუპა. ზოგიერთები, და მათში მეც, სიკვდილს გადურჩით; ბნელაში ტბაში ჩავეშვით...

— და გამარჯვებულნი გამოეკიდნენ,—წამოიძახა კრეკმა და გააწყვეტინა ლაპარაკი ახალგაზდა უცხოელს,—თქვენ წინამძღოლს ესეც უნდა გაემხილა,—დაუმატა მან სიხარულით და თან დაცინვის კილოთი, რომ მხოლოდ ერთი გაქცეული ცოცხალი გამოვიდა წყლიდან. როგორ გადარჩა იგი-არ ვიცი; მხოლოდ ორივე თვალი გამოთხრილი ჰქონდა!

— ოჰ, მეომარო! მართალი ბრძანდებით,—მიუგო ახალგაზდა უცხოელმა:—მართლაც ასეთი იყო ამ მეომრის ბედი. თქვენი სიტყვების შემდეგ მივხვდი, რომ მე, მარტოდ-მარტო, უიარაღო მოულოდნელად ჩავარდი სწორედ იმ ხალხში, რომელზედაც იგი მელაპარაკებოდა და თქვენც იმ ტომს ეკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვნით, რომელსაც ის ერთ დროს ასე უსამართლოდ თავს დაჩაგ-
ოჰ, მეომარო!—განაგრძობდა ახალგაზდა მტკიცე ხმით და თან
ხელს უწვდიდა, - მე რაც გინდათ-მიყავით, მხოლო შეიბრალეთ
ეს უდანაშაულო არსებანი მე თქვენი ტყვე ვარ, თქვენი მტვ-
რი კი ცოცხალი აღარ არის: უსინათლო და სუსტი, იგი
მაინც სახელოვნად დამარცხდა დათვთან ბრძოლაში, [რომე-
ლიც მას ძილში თავს დაეცა, სანამ ჩვენ ცივი წყლის საძე-
ბნელად ვიყავით წასულნი. დათვი მოვკალი, მაგრამ მეომა-
რი ვერ გადავარჩინე სიკვდილს. იგი მამაცი იყო და სახელად
„უსინათლოს“ ეძახდნენ. მე კიდევ მონადირეს შვილი ვარ —სა-
ხელად ოჟო.

ამ მოულოდნელმა განცხადებამ დიდი განცვიფრება გა-
მოიწვია.

— ოჟო!—მოისმა ერთად სამი სხვა-და-სხვა ხმა.—თქვენი
სახელი ოჟოა?

— დიახ—ოჟო; ეს უმნიშვნელო სახელია, მაგრამ ვე-
ცდები დიდება მოუპოვო.

— ეს ის არის! ეს ჩვენი ძმაა!—წაიჩურჩულეს რიუგმა და
ჰელიმ, თან ხელს უჭერდნენ კრეკს, რაც ძალი და ღონე
ჰქონდეთ, და სიხარულისაგან ჰკანკალებდნენ.

— მეც აგრე ვფიქრობ,—წაიჩურჩულა კრეკმა,—მღელვა-
რებისაგან ძლივს ღა ვლაპარაკობ,—დაუმატა მან, და, რადგან
არ უღალატა ჩვეულებრივ სიფრთხილეს, სთქვა:—ჯერ-ჯე-
რობით თავი შევიკავოთ. ბევრს შეუძლია ატაროს ეს სახე-
ლი, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის: შეიძლება მტერსაც
ეკუთვნოდეს. მოთმინება იქონიეთ.

შემდეგ მაღალი ხმით ჰკითხა უცხოელს:

— ეს ქალები, ეგენი ვილა არიან?

— ეს ქალები ჩემი დები არიან, მეთაურის შვილები.

— მათი სახელები?

— მაბი და ონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები უცნობმა, მაშინვე იგრძნო, რომ ყველა მხრიდგან ეხვევიან ვიღაცას მძლავრი ხელები, ყურში კიდე ნაზი ალერსიანი სიტყვები ესმის!

როგორ ავწეროთ აქ ოჟოს გაოცება, რომელმაც თავისი ძმები იცნო: იგი თავის თავადაც ცხადია.

რაც შეეხება მაბის და ონს, მათ ეგონათ, რომ სიზმარში ჰხედავენ პატარა კრეკს, მშვენიერ ახალგაზდა მეომრად გადაქცეულს.

გამოუსხლტა იმათ ხელიდან კრეკი და უფროს მეთაურისაკენ გასწია; ეს უკანასკნელი ცეცხლთან წამოწოლილიყო, სანამ კრეკი ახალგაზდა უცნობს ელაპარაკებოდა. კრეკმა უამბო, რაშიც იყო საქმე და მოწიწებით სთხოვა შეებრალებინა ოჟო და მისი დები.—მართალია—ესენი თქვენმა მტერმა მოიყვანა აქა, მაგრამ იგი ახლა უკვე მკვდარიაო. — ოჟო —მოხერხებული, ფრთხილი, თავდადებული და პატიოსანი ყმაწვილია, მეთაურო, იგი ეცდება ჩემსავით დღე-და-ღამ ემსახუროს ტომს, რომელიც მას მიიღებს. მე ვიქნები მისმაგიერ პასუხისმგებელი.

— მაშ, მეგობარო კრეკ, მე შენ მადლობა უნდა გადაგიხადო,—სთქვა მეთაურმა,—რადგანაც შენი ძმის თანხლებით ჩვენ ტომს აძლიერებ. იყოს, როგორც შენ გსურს. ხვალვე წარუდგენ ხალხს ჩვენ ახალგაზდა მეომარს.

ღამემ მშვიდობიანად გაიარა.

მხედრებს გაშლილ მინდორზე ეძინათ. კრეკი, რიუგი და მეთევზე ჰელი, აღტაცებულნი მოსხდომოდნენ ძმასა და დებს და თავის თავგადასავალს უამბობდნენ. ოჟო კიდევ ხელ-ახლა, მხოლოდ უფრო დაწვრილებით, მოუთხრობდა, თუ როგორ განადგურდნენ და როგორი ცუდი ბოლო ჰქონდა იმ მღვიმეს მცხოვრებლებს, რომელთა შორის ესენი დაიბადნენ.

— მაგრამ, იმ საუბედურო ბრძოლის წინად,—სთქვა ოჟომ

ამბის გათავებისას, როდესაც გათენებამ მოატანა,—უხუცესებმა გაპატიეს შენ, კეთილშობილ კრეკს, ცეცხლის ჩაქრობა და ხშირად მწარე ცრემლებით დასტიროდნენ შენ მწარე ხვედრს.

რამოდენიმე საათის შემდეგ მღვიმეს შვილები, ახლა კი სამუდამოდ შეერთებულნი, ტბის ნაპირს მიადგნენ.

ვათავებ, ჩემო ძვირფასო ჟორჟ.

ჩვენი მეგობარი კრეკი უკვე „პატარა ბავშვი“ აღარ არის.

მეცა მგონია დროა მივანდოთ იგი უძველეს დროის ხალხის სვე-ბედს, ჩვენ კი მხოლოდ მისი მოგონებით დავკმაყოფილდეთ.

მარიამ იაშვილი.



ბოძებიანი სახლები ტბაზე.

დედის გული



რა, არა, სულ სხვა არის
ნამდვილ დედის ნაზი გული!..
ის ხატია სალოცავი,
წმინდა გრძნობით მოქარგული...
იგი არის სხივთა კონა
და ცხოვრების თაიგული!..

*
* *

არვის ძალ-უძს დედასავით
ოცნება და აღმაფრენა...
თვით სიტყვები: სიყვარული,
სიხარული, შვება, ლხენა—
დედის გულმა ამოქარგა,
რომ დაეტკბო შვილის სმენა!..

*
* *

მაშ ცოცხლობდეს დედის გული
უკვდავების ტურფა წყარო;
ოჯახისა მკვიდრი ღერძი,
საოცნებო, სანეტარო!..

ბ. ახოსპირელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სირაჯი.

(იგავი).

ერთი სირაჯი ყოველ წელიწადს ღვინოს ერთსა და იმავე გლეხისაგან ყიდულობდა და ამ ღვინოს ქალაქში დიდის მოგებით ასაღებდა. ბოლოს, გაკეთდა, გამდიდრდა, აშენდა ეს სირაჯი, და როცა ნაცნობ გლეხს შვილი ეყოლა, მას ნათლიობის სურვილი გამოუცხადა.

გლეხმა იფიქრა: „კაცი კაცითა კეთდება; ეს მდიდარია, მე ღარიბი ვარ, ვინ იცის, როგორ დამჭირდეს ამის დახმარება,“—და შვილი მოანათვლინა.

დადგა კიდევ შემოდგომა. რთვლები გათავდა და სირაჯი გლეხს კარზე მიადგა.

— გამარჯობა, ძვირფასო ნათლიმამავ!—დაიწყო სირაჯმა:—როცა ერთმანეთისათვის უცხონი ვიყავით, საპალნე ღვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოს ოცდა-ხუთ მანეთად მაძლევდი, და რაკი ახლა ჩვენში ნათელ-მირონობა ჩამოვარდა, დარწმუნებული ვარ, ამას იქით შენ ღვინოს ჩემთვის სულ სხვა ფასი ექნებაო.

— რასაკვირველია,—მიუგო გლეხმა, რომელიც მიუხვდა ცბიერებას,—თუ აქამდის ჩემი ზარალი შენს გულს არ ხვდებოდა, ეს არც საძრახისი იყო შენთვის; ღღეიდან-კი, რაგორც ნათლიას, უეჭველია, მეტი ხათრი და შებრალება გექნება და საპალნეში სამ თუმანს მაინც არ გამიტეხო.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიმშილობა დასავლეთ საქართველოში

ასავლეთ საქართველოში შიმშილობაა!

რა საშინელია ეს სიტყვა, თუ ღრმად ჩაუკვირდებით და გავითვალისწინებთ მის შედეგს. ზამთარში სოფლის მუშა დასვენებას მოელის; ზამთარში უნდა შეკრიბოს მან ძალ-ღონე, რომ გაზაფხულზე განახლებული ძალით შეუდგეს ხვნა-თესვას, სარჩოს მოპოებას. დილიდან საღამომდის დაუსვენებლად შრომობს ის ყანაში და ბოსტანში, უვლის საქონელს, ხეხილს. ეს არის მისი მრჩენელი, მისი მხსნელი, ეს კვებავს და მოსავს მის ოჯახს. ამ შემოსავლითვე ისტუმრებს სხვა-და-სხვა გადასახადს. მაგრამ ხან-დახან უმტყუნებს ხოლმე ბედი, იმედი გაუცრუვდება და ფუჭად ჩაუვლის შრომა. მაგალითი თვალწინ გვაქვს. დასავლეთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში (ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ნაწილებში) მთელ ზაფხულს გვალვა იყო. ახლად აბიბინებული პური და სიმინდი დაიწვა. ამაოდ ელოდნენ წვიმას: მწვანე ჯეჯილი გაყვითლდა და დაიხარა. გულდამწვარმა სოფლელებმა დაინახეს, რომ ის აღარ იხეირებდა, ასჭრეს და საქონელს დაუყარეს. დაეკარგათ შრომა; მაგრამ შრომას ვინღა სჩივის, როცა წინ უარესი უბედურება მოელით. რა გვეშველება, რა გვიხსნის შიმშილისაგან, რით გამოვკვებო ოჯახი, სანამ ახალი მოსავალი მოვა,—ფიქრობს დღეს დაზარალებული ყანის მუშა.

ჩვენი გლეხები მოსავლიან წლეებშიაც ვერ აგროვებენ საკმაო სარჩოს და მუდამ ნახევრად მშიერი, სიღარიბით წელგაწყვეტილი, დასნეულებული გლეხი, როგორ უნდა გადურჩეს შიმშილს; როგორ აიცდინოს თავიდან სხვა-და-სხვა სენი, რომელიც მუდამ თან დასდევს შიმშილს. სულ მცირე მოშიებაც-კი საგრძნობელია ადამიანისთვის. ცარიელი კუჭი მალე იწვევს თავის ტკივილს და მთელი სხეულის სისუსტეს. უფრო ხანგრძლივი შიმშილი-კი ადამიანს ასნეულებს.

ადამიანის სხეული განუწყვეტლივ ახლდება, იცვლება, ამისთვის-კი საჭაროა საკვები; თუ სხეულს ახალი მასალა არ ემატება, ის თანდათან ილევა და უწინდელი წონის მე-ხუთედს რომ დაკარგავს, ადამიანი კვდება. ბავშვების სხეულში ეს ცვლილება მეტი სისწრაფით სწარმოებს და ეს არის მიზეზი, რომ ბავშვი მოზრდილზე უფრო ნაკლებად იტანს შიმშილს.

მოზდილი ადამიანი შიმშილობის გამო მეთორმეტე დღეს კვდება, იმ შემთხვევაში, თუ წყალს არ სვამს. თუ წყალს სვამს—მეტს ცოცხლობს. ამერიკელ ექიმ ტანერის გამოცდით, ადამიანი ასეთ პირობებში ორმოც დღემდე სძლებს. მაგრამ რა არის ასეთი სიცოცხლე: განა შეიძლება ადამიანს ცოცხალი უწოდოთ მხოლოდ იმიტომ, რომ სული ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღევ სავსებით არ მოშორებია სხეულს? რამდენი ტანჯვა-ლიერი და ფიზიკური, უნდა განიცადოს დამშეულმა, სანამ იმ მდგომარეობას მიაღწევს, როცა ცოცხალი მკვდარს ემზგავსება.

შიმშილი იწვევს საოფლეს, სურავანდს და სხვა ავადმყოფობას. საშინელი ავადმყოფობაა სურავანდი. ავადმყოფი მალე ხდება, ფერი ეკარგება, ცუდ გუნებაზეა. რამოდენიმე დღის, ან კვირის შემდეგ მას ულურჯდება და უსივდება ღრძილები, კბილებს შორდება, ველარ ამაგრებს და კბილები სცვივა. ჭამა საშინელი ტკივილების გამო შეუძლებელი ხდება. ღეჭვა სისხლის დენას იწვევს და პირიდან სიმყრალე ამოდის. სისხლი ხშირად ცხვირიდან და პირიდანაც მოდის, ტანზე ლურჯი ზოლები და წინწკლები ჩნდება. ამ სენის მოსასპობად საჭიროა სისუფთავე, თბილი ტანისამოსი და ნამეტნავად ნოყიერი საჭმელი, თორემ მთელ სოფელს მოედება და, თუ დროზე არ უშველეს ავადმყოფთ, მერმე გვიანი იქნება.

დაზარალებულ პატრონებთან ერთად იტანჯება შინაური პირუტყვიც—სოფლის მუშის ერთგული მეგობარი, მისი მარჯვენა ხელი. მძოვარი ცხოველები უფრო ძნელად იტანენ შიმშილს, ვიდრე ხორცის მჭამლები. მშიერი, მოწყენილი საქონელი პატრონს კიდევ უფრო უმატებს მწუხარებას. გარდა იმ სარგებლობისა, რომელიც შინაურ ცხოველებს მოაქვთ პატრონისთვის, გლეხის ოჯახი ეჩვევა პირუტყვს, გულით უყვარს თავისი ჭირ-ვარამის მოზიარე და მისი ტანჯვა მწარედ ხვდება გულს. მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელია მშიერი, უმწეო, უსუსური ბავშვების ტირილი.

— დედა, მშია, დედა, მაჭამე რამე!—რას გრძნობს მაშინ დედა, რომელმაც თავისი ლუკმა ადრევე დაუთმო შვილებს და ახლა ხელ-ცარიელია. ნეტავ, მეზობელს ჰქონდეს მაინც, რომ ისესხოს და შემდეგი მოსავლიდან გადაუხადოს. მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის სთხოვოს, როცა ყველას საერთო გაჭირვება ადგია. მაშ მდგომარეობა აუტანელია, ხსნა აღარსად არის, მთელი სოფლები უნდა ამოწყდეს შიმშილით? საბედნიეროდ ეს ასე არ არის.

ჰატარაობიდანვე ყველამ ვიცით, რომ ქვეყანაზე ბევრია ღარიბ-ღატაკი; არა-ერთხელ გვიფიქრია, რომ შეიძლება სწორედ ამ წუთს ბევრი კვდებოდეს შიმშილით, თუ სიცივით, თუ სხვა რამ მიზეზით, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, მხოლოდ წარმოვიდგენთ ხოლმე გონების თვალით და მალე ისევ ვივიწყებთ. სურათი ჰქრება, ჩვენ კი გვავიწყდება, რომ ეს სინამდვილე იყო და არა მარტო ფანტაზია. ძნელი წარმოსადგენია ისეთი გულ-ქვა ადამიანი, რომელსაც შეეძლოს გემოზე ისაუზმოს მშიერ-მწყურვალის თვალწინ, მაგრამ თუ კი მშიერი პირში არ გვიყურებს, მადიანად შეეექცევით ხშირად ისეთ კუჭის სანებივრო საჭმელებს, ურომლისოდაც კარგად შეგვეძლო ცხოვრება; სინიდისიც დამშვიდებული გვაქვს: ჩვენ გვერდით ხომ არ ზის მშიერი, ხომ არავის ეხარბება ჩვენი საჭმელი. რაც ხდება იქ, სადღაც გარედ, ჩვენთვის უჩინრად, ხან-და-ხან მართალია გვაწუხებს, გვაფიქრებს, მაგრამ საკუთარ ცხოვრების წვრილმანებით გატაცებულთ სხვისი უბედურება გვავიწყდება. მაგრამ როცა ეს უბედურება კარგავს კერძო ხასიათს და საზოგადოების ერთ დიდ ნაწილს შეეხება, მაშინ კი სიჩუმე და გულ-გრილობა შეუძლებელია. უბედურება ისეთი მწვავე, ისეთი თვალსაჩინო ხდება, თითქოს თავის პირით ღაღადებს, რომ ყურების დაცობა ყოვლად შეუძლებელია. ეს ღაღადი ძალა-უნებურად გვესმის და გვახსოვს. თვალ წინ საშინელი სურათები გვეხატება და სინიდისი არ გვასვენებს. ამისთანა დროს გულ-ხელ-დაკრეფა და შორიდან ყურება შეუწყნარებელია. სინიდისი მოითხოვს საქმეში ჩავერიოთ და შეძლებისამებრ დავეხმაროთ გაჭირვებულთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებმა დროზე ამხილა საზოგადოებას მომავალი უბედურება და საზოგადოებაც შეიძრა: საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში გროვდება შემოწირულება კერძო პირებისა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან. შემოწირულება იგზავნება ქ. ქუთაისს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების განყოფილებაში. თბილისშიც სამეურნეო საზოგადოებასთან შესდგა წრე, რომელიც ჰკრეფს ფულს დაზარალებულთათვის. ქ. პეტერბურგიდან თავისუფალ-ეკონომიურმა საზოგადოებამ უკვე გამოუგზავნა დამშეულთ ასი თუმანი; მოსკოვიდან ცნობილ ექიმ პიროგოვის სახელობაზე არსებულმა საზოგადოებამ შეჰპირდა დახმარება. მაგრამ შეგროვილი ფული ჯერ ძალიან მცირეა. ზარალი, როგორც ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების განყოფილების ცნობებიდან სჩანს, 11 მილიონ მანეთამდე ადის და საჭიროა იდევ დიდი შემწეობა.

ახლოვდება დღესასწაულები. ვინ არ იცის, როგორ მოუთმენლად მოელიან სოფლელები შობა-ახალ-წელიწადს, როგორი სიხარულის შუქი შეაქვს დღესასწაულებს ქალაქის სხვა-და-სხვა გვარ გასართობებს მოკლებულ ერთგვარ, უფერულ სოფლის ცხოვრებაში. მომავალი დღესასწაულები ვერ იქნება მხიარული დაზარალებულ სოფლებში. ოღონდ თავი გაიტანონ, ოღონდ პურის ფასში არ გაეყიდოთ თავისი მცირე ქონება და საქონელი, არ დაიხოცნენ შიმშილით, და მხიარულებას ვინლა დაეძებს.

სიტყვით ყველანი გულშემატკივარნი ვართ, ყველას გვებრალება გაჭირვებული, მოგვწონს ხვისი ქველობა, მაგრამ ნამდვილი ადამიანი მხოლოდ ის არის, ვინც თავის სიტყვებს საქმედ აქცევს. ადამიანების ცხოვრება ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული, რომ ყველას გვმართებს ერთმანეთზე ზრუნვა, ერთმანეთის დახმარება გაჭირვების დროს. დღეს გაჭირვებაში ჩავარდნილნი არიან სოფლის მუშები, ისინი, ვინც თვითონ გკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავენ ყველას, ვისი დაუღალავი შრომით ასე დამშვიდებული გულით მუდამ ვსარგებლობთ ყველანი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მათი მოვალენი ვართ, და ის დახმარება, რომელსაც მიაწვდის მათ საზოგადოება, შემოწირულება კი არა, მხოლოდ ვალის გადახდა იქნება.

მაგიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროადის ომი.

პრიამოსი ემუდარება აქილევსს ჰექტორის გვამის დაბრუნებას.

ეფე პრიამოსმა თავისი თანამხლებელი იდეოსი დასტოვა საჩუქრებით დატვირთულ ეტლთან და თვითონ-კი მორიდებით შევიდა ღვთისადარ აქილევსის სამხედრო კარავში. აქილევსს ის იყო გაეთავებინა ვახშამი და ჩაფიქრებული იჯდა სუფრის მახლობლად. ორი ელლინთა გმირი, ანტემედონი და ალკიმოსი, მოშორებით ისხდნენ კარავში და ნაღვლიანად შესცქეროდნენ პელეასის ვაჟიშვილს. სამხედრო კარავში სიჩუმე იყო გამეფებული.

მოხუცი პრიამოსი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ელლინთა გმირთა გმირს აქილევსს, მუხლები მოიყარა თავისი შვილის მკვლელის წინაშე და ხმის კანკალით და ცრემლების ღაპაღუპით ასეთი სიტყვებით მიმართა ფიქრებით მოცულ აქილევს: „ღმერთების თანასწორო აქილევს! მოიგონე შენი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცი მამა, რომელიც ჟამთა მიმდინარეობის გამო ჩემსავით უთუოდ დაუძლურებულია! ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამ წუთში მტრის შეუბრალებელი რაზმები გარს ეხვევიან ჯ კაცი არა ჰყავს მშველელი, რომ ეს მწუხარება ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს! მაგრამ ყოველ შემთხვევაში მამაშენი ჩემზე ათასჯერ უფრო ბედნიერია. დიდებულ პელეასს ჯერ კიდევ იმედი არ დაუკარგავს, რომ მისი ძლევა-მოსილი შვილი აქილევსი უვნებლად დაბრუნდება ბრძოლის ველიდან. დიაღ! დიდებულ პელეასს ეს იმედი აცხოველებს, ძალას ჰმატებს, სიცოცხლეს უორკეცებს! მე კი, ჩემდა საუბედუროდ და სამწუხაროდ, ამ იმედსაც მოკლებული ვარ! ჭეშმარიტად, რომ უბედურ დღეს დაბადებული ყოფილვარ! ორმოცდა-ათის შვილის მამა ვიყავი. ჩემს თავს უბედნიერეს კაცად ვთვლიდი დედამიწის ზურგზე. მაგრამ ღმერთები თურმე სულ სხვანაირად სჯიდნენ. ჩემი შვილების უმეტესი ნაწილი ბრძოლის ველზე სიცოცხლეს გამოესალმა. დამრჩა ერთად-ერთ იმედად ჩემი ძლევა-მოსილი ჰექტორი, რომელზედაც მზე-და-მთვარე ამომდიოდა! დიაღ, ჩემი ჰექტორი იყო ერთად-ერთი იმედი ჩემი და მთელი ჩემი ქვეყნის დაღუპვისა და განადგურებისაგან გადარჩენისა. მაგრამ შენმა შეუბრალებელმა ბასრმა ისარმა ეს იმედიც გულის სიღრმიდან ამომგლიჯა, შენმა შეუბრალებელმა ისარმა სიცოცხლეს გამომისალმა ჩემი ღვიძლი შვილი და ამნაირად დაამბლა მთელი ჩემი ოჯახი, მთელი ჩემი ქვეყანა! ჰექტორის უდროოდ დაკარგვისათვის სტირის ცრემლ-შეუშრობლად მთელი სამეფო ოჯახი, გულ-ამოსკვნით სტირის მთელი ილიონი კიდით-კიდემდე! დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი—უსაზღვრო მწუხარებას განიცდის ჩვენი სათაყვანებელი გმირის ასე უდროოდ დაკარგვის გამო. და აი, მე, მოხუცი, სამარეს პირად მდგომი, გეახელი მხოლოდ იმიტომ, რომ ძვირფასი საჩუქრებით გამოვისყიდო შენგან ჩემი ღვიძლი შვილის უსულო გვამი და ამით ოდნავ მაინც შეუმსუბუქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიონის მკვიდრთ ის დიდი მწუხარება, რომელსაც თვითეული მათგანი უკლებლად განიცდის. დიდებულო აქილევს! გეხვეწები, გემუდარები, შეიბრალე საცოდავი მოხუცი მამა, რომელიც შვილის უსაზღვრო სიყვარულით ხელებს უკოცნის შვილისვე მკვლელს!"

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქილევსზე პრიამოსის სიტყვებმა. გმირთა-გმირ აქილევსს მოაგონდა თავისი მოხუცი მამა პელეასი, მოაგონდა თავისი გულითადი მეგობარი პატროკლოსი, რომელიც ასე უდროოდ გამოესალმა სიცოცხლეს, და თვალები მდუღარებით აევსო. ილიონის მოხუცი მბრძანებელი და ელლინთა გმირთა-გმირი აქილევსი—ორთავენი ხმამაღლად ქვითინებდნენ: პრიამოსი თავისი ღვიძლი შვილის ჰექტორის დაკარგვას მოსთქვამდა, აქილევსი-კი თავის გულითად მეგობრის პატროკლოსისა. დიდხანს აფრქვევდნენ მდუღარე ცრემლებს მეფე პრიამოსი და გმირთა-გმირი აქილევსი და მათ უსაზღვრო მწუხარებას დასასრული არ უჩანდა.

ბოლოს აქილევსი საჩქაროდ ფეხზე წამოდგა, ლმობიერად ხელი-ხელში ჩაჰკიდა მეფე პრიამოსს და ასეთი სიტყვებით მიმართა: „საბრალო მოხუცო! მართლა, რომ მრავალი მწუხარება განიცადე ამ მოხუცებულობის დროს. განა გასაკვირველი არ არის, ღირს-პატივსაცემო მოხუცო, რომ ასეთ უკუნეთ ღამეში დაუბრკოლებლივ და უშიშრად გადმოლახე ელლინთა მტრისათვის მიუვალი ბანაკი და მიდი სწორედ იმ კაცთან, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა შენი საყვარელი და ძვირფასი შვილი ჰექტორი; დახ, ღირს-შესანიშნავია ასეთი შენი გაბედულება! კაცს დიდი გაჭირვება უნდა ადგეს, რომ ასეთი თავგანწირულება გამოიჩინოს! დამშვიდდი, დიდებულო მოხუცო. მწუხარებას ბოლო მოუღე! გახსოვდეს, რომ მომაკვდავნი ზოგჯერ მწუხარებას განიცდიან, ზოგჯერ-კი ბედნიერებასაც. მხოლოდ და მხოლოდ ღმერთები არიან უდარდელნი,—მხოლოდ ისინი არ განიცდიან მწუხარებასა და ვაი-ვაგლახს! ამიტომ დამშვიდდი, დიდებულო მოხუცო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოჯექ სავარძელზე, მოთმინება იქონიე. ვაებით და ბრალებით ვერას გახდები, შენ საყვარელ შვილს ჰექტორს ვერ გააცოცხლებ, ფეხზე ვერ წამოაყენებ და სამშობლოს საიმედო მცველად ვერ დაუბრუნებ!“

პრიამოსმა ამ სიტყვებზე ასე უპასუხა ძლევა-მოსილ აქილევს: „ღვთისა სწორო აქილევს! მე მოსვენებით ვერ დავჯდები, სანამ ჩემი შვილი ჰექტორი დაუმარხავი გდია შენ სამხედრო კარავის მახლობლად. დიდებულო გმირთა-გმირო! მიიღე ჩემგან ძვირფასი საჩუქრები და დამითმე ჩვენი წესისამებრ დასაკრძალავად ჩემი საყვარელი შვილის ჰექტორის უსულო გვამი!“

აქილევსმა მრისხანედ გადახედა მეფე პრიამოსს და აღელვებული კილოთი უპასუხა: „მოხუცო, ნუ მაშფოთებ, მრისხანებას ნუ მიორკეცებ! მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ჰექტორის უსულო გვამი უნდა დაგიბრუნო, რადგანაც ეს ღმერთების მამათმთავრის ზევსის სურვილია. და ეს რომ ასე არ იყოს, განა შენ შენი თანამხლებელით შესძლებდი ჩემ სამხედრო ბანაკამდის უვნებლად მოღწევას! ეს ყოვლად შეუძლებელი იყო: ელლინთა მამაცი მეომრები ისე ფხიზლად სდარაჯობენ ჩვენ ბანაკს, რომ გაფრენილი ჩიტიც-კი არ დარჩებათ შეუმჩნეველი. და აბა რა საფიქრებელია, რომ შენ ასე უვნებლად გამოივლიდი მთელ ჩვენ ბანაკს და ჩემი სამხედრო კარვის კარებს მოადგებოდი? ნუ მაშფოთებ, ვიმეორებ, დასდუმდი!“

ტროადის მოხუცი მეფე პრიამოსი შეაფიქრიანა აქილევსის მრისხანე სიტყვამ და მყისვე გამზადებული პასუხი მწუხარედ გულში ჩაიკლა.

აქილევსი ამის შემდეგ სამხედრო კარავიდან საჩქაროდ ეზოში გამოვიდა. გმირთა-გმირს გარედ გამოჰყვა ორივე მისი მეგობარი—ალკიმოსი და ავტომედონი. აქილევსმა თავისი მეგობრების დახმარებით ძვირფასი საჩუქრები სკივრებით ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიღო ეტლებიდან და პრიამოსის თანამხლებელი იდეოსი სამხედრო კარავში მიიპატიჟა.

გმირთა-გმირმა აქილევსმა ამავე დროს უბრძანა მოსამსახურეებს გაებანათ ჰექტორის უსულო გვამი სამხედრო კარვის მოშორებით, წაესვათ გვამისათვის სურნელოვანი წამლები და შემდეგ მოერთოთ იგი ტანსაცმელებით ⁂ შესაფერი საფენებით.

მოსამსახურეებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს გმირთა-გმირის ბრძანება. აქილევსმა ჰექტორის სრულიად მორთული და მოკაზმული უსულო გვამი თვითონვე დასდო ეტლზე და თოკებით მაგრად დააკრა.

აქილევსი, როცა ჰექტორის გვამის ილიონში წარსაგზავნად თავდარიგს მორჩა, სამხედრო კარავში შემოვიდა და, მოხუც პრიამოსს ლმობიერი სიტყვებით მიმართა: „დიდებულო მოხუცო! შენი შვილი დაგიბრუნე სწორედ ისე, როგორც შენი სურვილი იყო. განთიადისას შენი თვალით იხილავ შენ შვილს და კიდევაც შეგიძლია წაასვენო ილიონში. ახლა-კი ვახშმის თავდარიგს შეუდგეთ!“

ცოტა ხნის შემდეგ მსახურებმა გაშალეს ბრწყინვალე სუფრა. მოხუცი პრიამოსი და აქილევსი შემოუსხდნენ სუფრას და, მიუხედავად დიდი მწუხარებისა, მადიანად შეექცეოდნენ გემრიელ ვახშამს. დიდხანს მუსაიფობდნენ მეფე პრიამოსი და აქილევსი ვახშმის დროს და ერთი მეორეს გონივრული სიტყვა-პასუხით ორთავენი აღტაცებულნი დარჩნენ.

უკვე შუაღამე გადასული იყო, როცა მეფე პრიამოსი გმირთა-გმირ აქილევსს მოსასვენებლად გამოეთხოვა. აქილევსის ბრძანებით მეფე პრიამოსს და მის თანამხლებელ იდეოსს ლოგინი გაუშალეს ეზოში იმ მოსაზრებით, რომ გაუთენებლივ ჰექტორის უსულო გვამი ელლინთა შეუმჩნევლად ილიონში წაესვენებინათ.

ა. **მიქაბერიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარადეგი.

(წარმოდგენილი პ. ნიორაძის მიერ).

I

პირველი—საქონლისგანა
ენა—სახით ირჩეოდა:
კაცი იყო, პატრონის წინ:
შიშით მუდამ ირხეოდა;
მეორე—ყოველ ცხოველს ჰყავს
ავის მქნელად, არც ჩვენ გვეტრფის.
თავში უხმო შეუცვალოთ,
და პირველით—იმას გვეტყვის,
სადაც ხალხი ღმერთს ლოცულობს,
იხსენება მუდამ ძე ღვთის.

II

ერთსა ცხოველი იძახის,
ხშირად შენი თავიც არის;
მეორე—ხელზე მსახურის
ქალის ნახევარი არის;
მესამე—სოფლად გლეხ კაცის
მიწის საბრუნავი არის;
ერთად—კარგი, ყველასა სჯობს,
მართლაც სანუკვარი არის.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).



ამ რებუსის ბოლო ისილეთ მეორე გვერდზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე-11 №-ში მოთავსებულ რებუსის და შარადის ალსნა.

1. ისარი და ბირით სიტყვა [illegible] ალსნა არ დაბრუნდეს.

2. თავდაბალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი
საქართველოს

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.